# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 5 ივნისი 1997 №64 (429) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოთას არყოფნაში არჩილს გააქვს, ქინქლაძეს კი გოლი არ ჩაუთვალეს

**ვახტანგ ბზიკაძე**
**ქუთაისიდან**

თითქმის ყველა იმ ქვეყანაში (ინგლისის გარდა), სადაც ფეხბურთია განვითარებული, ჩვეულებრივი მოვლენაა ნაკრების მატჩების არა მხოლოდ დედაქალაქში გამართვა. ჩვენში ეს ორადორჯერ მოხდა: ერთხელ გურჯაანში, აზერბაიჯანს ამხანაგურად რომ ვუმასპინძლეთ, მეორედ ბათუმში — „პალმეირასს". ახლაც, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის მასპინძლობის პატივი პირველს ბათუმს ერგო. ეს თბილისელ ქომაგთათვისაა დამატებითი პრობლემა, თორემ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის დიდი საჩუქარია. ამაში გუშინ ქუთაისში ჩასულიც დავრწმუნდი, რადგან საქართველოს ნაკრების ვარჯიშს, „გივი კილაძის" სტა-



ფრენბურთი თავით — ნემსაძის, აჩიკოს, ქეცბას და ჯამარას შესრულებით

დიონზე რომ გაიმართა, იმდენი მაყურებელი დაესწრო, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს რომ არ ესწრება ბარე ორ ქალაქში. ნაკრებმა ნავარჯიშევს თამაშიც გაუმართა მოსულთ, მაგრამ, ბუნებრივია, ბილეთები არ გაყიდულა და მაყურებელთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელი იყო. ისე, თვალმა რომ არ მომატყუოს, მინიმუმს ვიტყვი: ვარჯიშს 1500-2000 კაცი დაესწრო.

თავდაპირველად მთავარზე, ნაკრების დანაკლისზე ვიტყვი. წინა „სარბიელში" ვწერდით, წყალტუბოში გამართულ ნაკრების პირველ ვარჯიშს შელია და შოთა არველაძე არ დასწრებიანო. მართალი გამოდგა — მურთაზი, სამწუხაროდ, საოპერაციო ყოფილა, შოთას კი კისერი ჰქონია დაჭიმული და ვერც გუშინ ივარჯიშა. ამათ გარდა უკლებლივ ყველა, ოცივე ფეხბურთელი მწყობრშია და გუშინ ყიფიანის მეთვალყურეობის ქვეშ იყო. თუმცა, არა მარტო ყიფიანის, რადგან მათ ვარჯიშს ლატვიიდან დაბრუნებული ძოძუაშვილიც დროულად შემოესწრო და გაბელია და გეგუჩაძეც აქვე იყვნენ.

საღამოს ვარჯიში 17 საათზე დაიწყო და მისი დეტალური აღწერით თავს არ შეგაწყენთ. აი, თამაშზე კი ცოტა ხანს შევჩერდები, რადგან არცთუ ურიგო სანახაობა გამოდგა და დამსწრე საზოგადოებაც გაახალისა.

ყიფიანმა გუნდი ორად გაჰყო, ისე, რომ თითოეულ მხარეს ათ-ათი ფეხბურთელი ერგო. ამათ ორი ნახევარსაათიანი ტაიმი გამოუცვლელად ითამაშეს და ქუთაისელ მაყურებელს, 1991 წლის ზაფხულის მერე ნაკრები ცხადლივ რომ არ ენახა, სიამოვნებაც მიანიჭეს. ეს მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, რადგან თამაშში უკომპლექსოდ და თავისუფლად ირჯებოდნენ ძირითადებიც და სათადარიგონიც. ძირითადის ათეულს მეკარე ზოიძე, ლიბერო ცხადაძე, ცენტრალური მცველები ლობჟანიძე-კობიაშვილი, საყრდენი ნემსაძე, განაპირა ნახევარმცველები გოგიჩაიშვილი და ქეცბაია, თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია და ოდნავ მის უკან გამწესებული გამთამაშებელი ჯამარაული და ქინქლაძე შეადგენდნენ. ტაქტიკური სქემა სამარქაფოთაც მსგავსი ჰქონდათ ტოგონიძის, კალაძის, ჩიხრაძე-შეყილაძის, კიკნაძის, ანჩაბაძის, გახოკიძე-ტულუშისა და არჩილ არველაძე-ყაველაშვილის შესრულებით.

თამაში ახალი დაწყებული იყო, არჩილ არველაძემ შორიდან მოჭრილი დარტყმით ულამაზესი გოლი რომ გაუტანა ზოიძეს. ამას მალევე ქინქლაძისა და ტულუშის გოლებიც მოჰყვა, მაგრამ მსაჯმა ძოძუაშვილმა თანამსაჯების, ყიფიანისა და გეგუჩაძის დახმარებით ჯერ თამაშგარე დააფიქსირა, მერე კი ხელით თამაში. რაკი თამაშგარე ვახსენე, იმასაც ვიტყვი, სამარქაფონი ხშირად რომ ხვდებოდნენ ოფსაიდში. ამის მიზეზი ცხადაძის მიერ ორგანიზებული წინსვლები იყო, მაგრამ მისმა გუნდმა მაინც წააგო. თუმცა, სანამ არჩილი მეორედაც გაიტანდა, ძოძუაშვილმა გოგიჩაიშვილთან მოუხეშე კალაძე დასაჯა და ქინქლაძემ პენალტით გაქვითა, მაგრამ მის გუნდს ამან „ვერ უშველა" და საბოლოოდ 1:2 დამარცხდა.

გოლებზე რაც ვთქვით, ეს ერთი იყო და, აქეთ-იქით ბლომად გამოუყენებელი მომენტები — მეორე. ძირითადთაგან ჯამარაულმა შესცოდა რამდენჯერმე, სათადარიგოებიდან კი კიკნაძე-ყაველაშვილმა. ასეთ ლაღ და უხვმომენტიან თამაშში ყველა ნორმალურად გამოიყურებოდა, ოდენ ჯანაშია ირჯებოდა მძიმედ და პასიურად. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ანგარიშის სიმცირეში მეკარეებმაც ითამაშეს გადამწყვეტი როლი და ერთხელ ხარიხამაც. ეს მაშინ იყო, გოგიჩაიშვილმა შორიდან რომ გაარტყა და ერთ-ერთი მაყურებლისგან რეპლიკაც დაიმსახურა — ნუ დაგვიმტვრევ, ჯერაც გვჭირდებაო.



კობიაშვილი მწყობრშია!

მანვე ენამხეობით გარშემომყოფნი თავიდანვე გაახალისა — ვინაა ეს, გადაჭიმული დოლივით რომ აქვს თავიო — გადახოტრილ ქეცბაიაზე იკითხა. ზოგი უფრო ენამწარედ ხუმრობდა: ყიფიანს შეუძახებდა ხოლმე, მინდორზე თავად გადი, მაგათ მაინც აჯობებო. ესენი ალბათ იმ გულგატეხილთაგანი იყვნენ, იტალია — ინგლისთან მატჩების შემდეგ ნაკრებზე გული მთლად რომ ვერ აიყარა, მაგრამ ნიჰილიზმის ჭია რომ შესჩენია. არადა, ვარჯიშის შემდეგ გასახდელიდან ავტობუსამდე მოწყობილმა ვიწრო კორდონმა და აქეთ-იქედან ავტოგრაფების თხოვნა-დარიგებამ ერთხელაც დამარწმუნა, რომ საქართველოს საფეხბურთო ნაკრები მაინც ხალხის სიხარული და ტკივილია და იგი ხელს წაგებულსაც კი არ კრავს.

წყალტუბო — ქუთაისში ბიჭებს ყურადღება არ მოჰკლებიათ. მათ ყოფას რეგულარულად აშუქებს ქუთაისის ორი ტელეკომპანია და სამხარეო პრესა. გუშინვე წყალტუბოში ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლმა ნაკრებს კონცერტი გაუმართა და საბრძოლო განწყობა შეუქმნა.

დღეს საღამოს ნაკრები ბათუმში ჩავა და სასტუმრო „თანამგზავრში" დაბინავდება, ხვალ კი, შესაძლოა, ფოთში ახალგაზრდულ ნაკრებთა თამაშს დაესწროს. რამდენად მოხერხდება ეს, ხვალ გადაწყდება და ნაკრების მზადების შემდგომ ამბებსაც შაბათის „სარბიელში" შეიტყობთ.

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



განწყობა მეტად სერიოზულია: ნემსო, კობი, ქეცბა და ყაველა

## ვნახოთ, ვისი აჯობებს



ბოლო დროს ვლადიმერ გუცაევს არაერთხელ უთქვამს — ჩვენს ჯგუფში ისეთი გუნდები თამაშობენ, ურთიერთობისას უეჭველად დაკარგავენ ქულებს და სწორედ ამით უნდა ვისარგებლოთო. ვნახოთ, პოლონეთ-ინგლისის გაყოფილ ქულას როგორ გამოიყენებენ ჩვენი ახალგაზრდები და 6 ივნისს ფოთში რით გაუმასპინძლდებიან მოლდოველებს. გამარჯვების შემთხვევაში ერთი ადგილით ზემოთ აინაცვლებენ: პოლონელებსაც გაუტოლდებიან და გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე 13 ივნისის კატოვიცურ შეხვედრისას მიენიჭება. გადამწყვეტიო, იმად ვამბობ, რომ თუ პოლონელებსაც მოვუგეთ, მათ სამი ქულით გავუსწრებთ, იტალიელებთან სხვაობა ოთხი ქულა იქნება და თამაში ამ ორივეზე და ინგლისელებზე ნაკლები გვექნება ჩატარებული. თანაც იტალიამ ინგლისს უნდა უმასპინძლოს, ჩვენ კი — იტალიას. მოკლედ, მოლდოველებთან თამაშს მოგება პოლონელებთან მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ მოგება პოლონელებთან თამაშის წინ კარგ ფსიქოლოგიურ განწყობას შეუქმნის ფეხბურთელებს და, ვინ იცის, გუცაევი პოლონეთიდან როგორ გუნებაზე დაბრუნდება. ჯერჯერობით კი მისი საფიქრალი მოლდოვასთან თამაშია.

**— თქვენი მოლდოველი კოლეგის სერგეი დუბროვინის აზრით, მთავარია, ქართველებს ბურთი წაართვა — რადგან უბურთოდ თურმე ერთობ ღელავენ და შეიძლება სულაც გაჩერდნენ. თქვენ რას იტყოდით ამაზე?**

— სიმართლე გითხრათ, ვერ გამიგია, რას გულისხმობს მოლდოველთა მწვრთნელი. უბურთოდ თამაში, ბუნებრივია, ძნელია. ქართველებს კი არა, იტალიელებს და სხვა მაღალი კლასის გუნდებსაც გაუჭირდებათ თამაში, ბურთი თუ არ მიაღებინე. ჩემი აზრით, ყველა ნორმალური მწვრთნელი იმას ცდილობს, როგორმე საიმისოდ განაწყოს ფეხბურთელი, მეტოქეს ბურთის მიღების საშუალება მოუსპოს და თავადვე დაეპატრონოს და აკონტროლოს ბურთი: ჩვენც ასე ვაპირებთ: თუ ისინი შეეცდებიან მჭიდროდ გვეთამაშონ, მაშინ არც ჩვენ დავუთმობთ და ვნახოთ, ვისი აჯობებს, ყველაფერს მატჩი გვიჩვენებს.

გაგრძელება მესამე გვერდზე

## ჩეზარე ჩვენზე ფიქრობდა

**წუხელ**

**ოთხთა ტურნირი**

**ინგლისი 2:0 იტალია**

**ინგლისი:** ფლაუერსი, პირსი, საუთგეიტი, კიოუნი, ფ. ნევილი, ბექემი, ინსი, ლე სო (გ. ნევილი 46), სქოულზი, რაიტი (კოული 76), შერინგემი (გესქოინი 78)

**იტალია:** პერუცი, ფერარა (ნესტა 46), კანავარო, კოსტაკურტა, ბენარივო, დი ლივიო (მაინი 46), დი მატეო (ფუზერი 17), დ. ბაჯო, ალბერტინი, კაზირაგი, ძოლა

**გოლი:** რაიტი (25), სქოულზი (43)

„მართალი გითხრათ, ამ ტურნირს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ — უკვე ახლა გონებაში საქართველოსთან მატჩი მიტრიალებს, მაგრამ ქვეყანაში, საიდანაც ჩვენ ვართ, ამხანაგურ მატჩში მარცხსაც ტრაგედიად აღიქვამენ და აქ წაგებას შეიძლება კაცი შეეწიროს კიდეც" — ამბობდა ჩეზარე მალდინი მატჩის წინ. ტურნირის მნიშვნელობას არც გლენ ჰოდლი აზვიადებდა: „პოლონეთთან მოგებისთვის ამ სამი მატჩის წაგებაზეც დავთანხმდებოდი, მაგრამ ხოჟუვში ვიმარჯვეთ და ახლა კიდევ მოგება გვინდა. ჩვენ ნამდვილი პროფესიონალები ვართ."

იტალიელთა პროფესიონალიზმშიც ვერავინ შეიტანს ეჭვს, მაგრამ გუშინდელ ატმოსფეროს ნანტში აშკარად ინგლისური ეთქმოდა — ამინდით დაწყებული და, მიუხედავად შირერის, სიმენისა და ბეტის არყოფნისა, თამაშით დამთავრებული. იტალიელებმა უფრო აქტიურად კი დაიწყეს, მაგრამ ხეირი ვერ ნახეს, ჰოდლის ბიჭებმა კი 25-ე წუთზე გაიხარეს: სქოულზმა შორეული პასით მეტოქის მთელი დაცვა უქმად დატოვა, დარჩენილი ფერარა და პერუცი კი თავის თავზე რაიტმა აიღო და ცაციით ანგარიში გახსნა. არსენალელი უმადური არ გამოდგა და ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სქოულზს ამაგი დაუფასა — თავადაც შეეძლო დარტყმა, მაგრამ უმცროს კოლეგას გადააწოდა და ამანაც, კვლავ ცაციით, მეორე ბურთი გაიტანა.

მეორე ტაიმში იტალია ცდილობდა, მაგრამ ხეირიანად მეტოქის დაცვა ვერც კი დაასაქმა. ორი სახიფათო მომენტიც მცველების უყურადღებობის შედეგი იყო: ჯერ კიოუნმა უპასა კაზირაგის, მერე კი კოსტაკურტამ კოულს, თუმცა ორივეჯერ მეკარეებმა ივარგეს.

## ხორვატია: ცოტა და კარგი

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ხორვატებმა ეროვნულ ჩემპიონატში 16 გუნდის მონაწილეობა ნამეტნავად მიიჩნიეს და 12 გუნდიღა დატოვეს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულმა ბრანკო მიკსამ გუშინწინ თქვა, ეს გადაწყვეტილება, ვფიქრობ, ჩვენი ფეხბურთის კეთილდღეობას ძლიერ წაადგებაო. თუ ყურადღებას მიაქცევთ, ალმოსავლეთ ევროპის ამჟამად ყველაზე წარმატებული საფეხბურთო ქვეყნის, ხორვატიის ფეხბურთის მამები არა მარტო ფეხბურთის ფედერაციის პრესტიჟის ამაღლებაზე, ისედაც მაღალი დონის ფეხბურთის კეთილდღეობაზეც ზრუნავენ.

ჩვენში კი ფედერაციის თავკაცთა უმთავრეს საზრუნავად, როგორც ჩანს, ქართული სპორტული ჟურნალისტიკის დონის ამაღლება დარჩენილა, თუმცა ამის შესახებ მეოთხე გვერდზე მოგახსენებთ.

საქართველოს ჩემპიონატი

მიმოხილვა

## ბომბარდირები

1 - გიორგი დემეტრაძე .................... დინამო ..... 26
დავით უჯმაჯურიძე .................... ბათუმი ..... 26
3 - მიხეილ აშვეთია .................... ტორპედო ...... 25
4 - ლევან ხომერიკი .................... დინამო ...... 18
5 - ვლადიმერ გაბედავა .................... ოდიში ...... 16

## სამტრედია 2:2 თსუ



ეს მატჩი ლაცაბიძეს დიდხანს და მწარედ ემახსოვრება



თბილისელთა სიხარული და სამტრედიელთა მწუხარება



# ელცინის მარცხენა ხელზე

### მსგეფსის თავს

სულ ერთი კვირაა, რაც საქართველოს მერვე ეროვნული ჩემპიონატი მიილია. და მაინც, დასკვნების გამოტანა უკვე შეიძლება. ამა თუ იმ მოვლენის ობიექტურად შესაფასებლად დროა საჭირო. დრო, რომელიც აზრებს ალაგებს, ემოციებს ანეიტრალებს და თათარიახნად ნათქვამს გადაასხვაფერებს ხოლმე. ჩვენი ჩემპიონატის შეფასებას დიდი დრო არ სჭირდება. ახალს არას ვიტყვი. საქართველოს ჩემპიონატი არც საერთაშორისო საფეხბურთო ფორუმია და არც მაღალ დონეზე ორგანიზებული ეროვნული სანახაობა. თანაც, მისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს კარგა ხანია დაერქვა სახელი. სახელი, რომელსაც დრო ვერაფრით შეცვლის.

### ახალი — დავიწყებული ძველი

ოპტიმისტი კაცი ყველგან სიახლეს ელის, იმის მიუხედავადაც, რომ ყველამ ვიცით — ახალიც კარგად დავიწყებული ძველია. ასე იყო წელსაც, ჩვენს ჩემპიონატში. და მაინც, რა სიახლეს დაინახავდა კაცი? „მერანი"! ეს ერთი და ამაზეც ქვემოთ იყოს. სხვა? სხვა გასავარდნთა გაჭიანურებული გაწამაწია გახლდათ, რომელმაც ბოლო ტურამდე გასტანა.

„მერანი" ვახსენეთ. მისითვე დავიწყოთ. ბუნებრივია, სასიხარულოა, დებიუტანტი თავიდანვე რომ ლიდერებს დაერევა, საპრიზოსკენ გაიწევს და თუნდაც ინტერტოტოს საგზურს დასჯერდება. სასიხარულოა, მაგრამ სიმართლეც ვთქვათ. შეიძლება კი ისეთი გუნდი (და არა კლუბი) დებიუტანტად ჩაითვალოს, რომლის რიგებში პირველი ჯგუფის მხოლოდ 2-3 დებიუტანტი თამაშობს? „მერანის" ძირითადში საქართველოს ორი ჩემპიონი, ორი ვერცხლის პრიზიორი და ერთიც ბრინჯაოს მფლობელია. რაც შეეხება კლუბს, ამან მართლაც შესაშური მარიფათი გამოიჩინა, მაგრამ ლიდერობისთვის ბრძოლის მეთოდები ამასაც ნაცადი, თუმც კი ჯერ ცუდად შეთვისებული აღმოაჩნდა. გამოუცდელობამ თუ თავბრუდამხვევმა წარმატებამ შინააშლილობა მოიტანა, რაც პრიზიორობის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი გამოდგა. სამაგიეროდ, „მერანმა" მდევრის იოლად ჩამოშორება შეძლო და მეოთხე ადგილიდან ჩამოქვეითების საფრთხე ადრევე აიცილა. ამ გუნდის თამაშზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ გამოცდილ მოთამაშეთა ყოლის მიუხედავად, არც ისე გამართული და სრულყოფილია, ევროპაში გასულ გუნდს რომ ეკადრება. ამის შემფასებლად ინტერტოტოს ტურნირიც გამოდგება, თუ „მერანი" არ შეიცვალა და გაძლიერდა, რაც, ცხადია, სასურველიცაა და აუცილებელიც. სხვაც ბევრი ვერაფერი სიახლე იყო. პირველი წრის მიმოხილვაშიც ვწერდით, დროდადრო ერთ ლიდერთაგანს მეორე ცვლისო. ჩვენი უბედურებაც ისაა, რომ ბოლო წლებში ძლიერი გუნდების რაოდენობა არ იცვლება. იცვლებიან გუნდები, მათი ოდენობა კი იგივე რჩება. დასტურად მერვე ჩემპიონატის მიძღიხარეობაც გამოდგება. მებრძოლი გუნდი თავიდანვე ხუთი იყო, ოღონდ მეორე წრეში „ოდიში" და „მარგვეთი" „მერანმა" და „ტორპედომ" შეცვალა. რაც შეეხება „გურიას" და „დილას" თავდაპირველ ლიდერობას, კალენდრის ბრალი რომ იყო, თავიდანაც ჩანდა. ახალი არც იმაში იყო რაიმე, „ოდიშმა", „მარგვეთმა", თსუ-მ, „დილამ" და „გურიამ" პირველ წრეში კარგად ნაგროვები ქულები რომ იკმარეს და მხოლოდ მაშინღა გაიბრძოლეს, გავარდნის საშიშროება რომ დაემუქრათ. მთლად ამათ რიცხვში ვერ ჩავწერთ „ტორპედოს", რომელსაც პირველ წრეში გასავარდნად ჰქონდა საქმე, მეორეში კი ერთობ მოინდომა, თუმცა ევროპაში გასვლის შანსი რომ მოესპო, ესაც მოეშვა და 3-4 გუნდს I ჯგუფში დასარჩენად შეეშველა.

### კოზა ნოსტრა ქართულად

რადგან გარიგებულ თამაშებსა და აღებ-მიცემობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ვცადოთ ამ მოვლენის ზოგადი დახასიათება. იქიდან დავიწყოთ, რომ მსგავსი რამ ყველგან ხდება, თუმც არც ისე ხშირად, როგორც ჩვენთან. ეს ისე, თავის დასამშვიდებლად. სინამდვილეში კი რა? ვიდრე რომელიმე თავქარიანს თავადვე არ მოეპრიანება 10-20 წლის წინანდელი ქრთამის ამბის გახსენება, ნებისმიერი ფედერაცია უძლურია ჩაწყობილი თამაშების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის ერთადერთი წამალი კლუბების მესვეურთა თვითშეგნების ამაღლება და საკუთარი ღირსების გალვიძებაა. ამასწინათ, ფედერაციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გამაკვირვა: ზოგადად ჩაწყობას ისეთი ანალიზი გაუკეთა, რომ არ ველოდი. ამ კაცმა ბრძოლის გზებიც ჩამოთვალა, მაგრამ ჩამოთვლამ მათ უძლობაშიც მალე დაგვარწმუნა. ერთ-ერთ გზად გუნდებისა და იმ ზონის შემცირება დაისახა, რომელსაც გასაცემად არა ექნება, რადგან თავად დასჭირდება გავარდნისგან თავის დასაცავად ან ევროტურნირებზე გასასვლელად. თუნდ ასე იყოს: ათგუნდიანი ჩემპიონატიდან ევროპაში 6 გუნდი გადიოდეს და ოთხს გავარდნა ემუქრებოდეს. ადრე თუ გვიან დადგება მომენტი, როცა რომელიმე გუნდი ცხრილის ერთ საფეხურზე გაიყინება და მერე მას ნამუსი თუ შეუშლის ხელს, გაცემა რომ არ დაიწყოს, თორემ სხვა არაფერი. ქუთაისის „ტორპედო" ავიღოთ. გუნდმა, ევროპაში გასვლა რომ სურდა, „მერანთან" 14 ქულა წააგო. როგორც არ უნდა იყოს, განა შეიძლება ჯერ ყველას მოუგო და მერე ყველასთან წააგო? ფედერაციის მუშაკთან საუბარში მთავარი ის გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი აზრი მოჩალიჩეებს არ კიცხავს, პირიქით, იოლად ეგუება, აფასებს კიდეც და ზოგჯერ სულაც აღმერთებს. ვერ დამივიწყნია, „სამტრედიამ" შარშანწინ შინ რუსთავს რომ მოუგო, 11-12 წლის გახარებულმა ბავშვმა თქვა: ახლაა საჭირო „ოდიშთან" ჩალიჩიო (?!).

ასეა. ჩვენში ბავშვსაც კი კარგად ესმის, რომ ჩემპიონატში მთავარი თამაში კი არა, ჩალიჩია. ბუნებრივია, ვიკითხოთ, მაშ რისთვის ტარდება საერთოდ ჩემპიონატი?

### ტარდება, რათა ჩატარდეს

წლევანდელმა ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მისი გამართვის სარჩული საკმაოდ პროზაულია. მისი მთავარი დანიშნულება არც ხალხის სიამოვნებაა და არც ჩემპიონის გამოვლენა. არახალია, რომ „დინამოს" ჩემპიონობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ კარგა ხანს ვერ დადგება. რატომ ხდება ეს? ყოველ შემთხვევაში არა იმიტომ, რომ ამით ფედერაციაა დაინტერესებული. უბრალოდ, ვერცერთი გუნდი ვერ შეძლებს „დინამოსთვის" ჩემპიონობის წართმევას მანამ, სანამ რამდენიმე ძლიერი გუნდი არ გაჩნდება. „დინამოს" ყოველთვის ერთი კონკურენტი ჰყავს. იგი თავიდან „გურია" იყო, მერე „ცხუმი", „შევარდენი", „კოლხეთი" და „სამტრედია". წელს „ბათუმმა" გაიბრძოლა, მაგრამ მეორეზე გასვლის ძალაც არ ეყო. ეს იმიტომ, რომ „დინამო" სხვებთან ქულებს არ კარგავს. იცის, როგორ არ უნდა დაკარგოს, მაშინ როცა „ბათუმმა" სამივე გავარდნილთან, ერთხელაც ათკაციანთან, ფრედ ითამაშა. წლევანდელზე უფრო ამის მაგალითად შარშანწინდელი გამოდგება. ობიექტურად „სამტრედია" სჯობდა „დინამოს", რაც პირად შეხვედრებში სამჯერ მოგებითაც დადასტურდა, მაგრამ ჩემპიონი მაინც ვერ გახდა, რადგან სხვა გუნდებმა „დინამოს" არა და, სწორედ „სამტრედიას" შეაკლეს თავი.

გამოდის, ჩემპიონი თავიდანვე ცნობილია, უბრალოდ, ცხრილში გრაფები უნდა შეივსოს და საბოლოო შედეგი დაფიქსირდეს. ვთქვათ, შოტლანდიაშიც ასეა — „რეინჯერსი" ვერ დაუძლევიათ. სკოტთა პირველობა აზრს მაინც არ კარგავს, რადგან სხვები უშეღავათოდ ებრძვიან ერთურთს და მაყურებელს ნაღდ სანახაობას უმართავენ. ჩვენთან კი ჩემპიონატი იმისთვის ტარდება, რომ მონაწილეები არ დაიმშენ, თორემ ნაღდი (მგონი ეს სიტყვაც გაცვდა), კარგი სანახავი თამაშები რომ ჩამოთვალო, შეიძლება ელცინის მარცხენა ხელიც გეყოს.

### კატლეტში ხორცს რა უნდა?

ერთადერთი, რამაც ჩვენს ჩემპიონატს ინტერესი შემატა, გასავარდნთა რაოდენობის ზრდა და ევროტურნირთა საგზურების განაწილებისთვის ბრძოლა იყო. შეგნებულად ვამბობთ, განაწილებისთვის ბრძოლაო, თორემ ევროპაზე გამსვლელთა ვინაობა, ფაქტობრივად, ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე გაირკვევა.

თითქოსდა ბოლომდე გაურკვეველი იყო ორი გასავარდნი გუნდი, მაგრამ აქაც ის მოხდა, რაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი. „კახეთს" აღარა ეშველა, სხვათა ნაცვლად კი უპატრონოდ დარჩენილი „სამტრედია" გაიწირა.

ისე, ისეთი ინტრიგისა რა ვთქვათ, წინასწარ ნაანგარიშევი შედეგით რომ მორჩება. ამაზე ის ნათქვამი გაგახსენდება კაცს, კატლეტით (თუ ხორცით) მოწამლულს რომ უთხრეს — შენ თუ ინტრიგანი არა ხარ, ჩვენ კატლეტში ხორცს რა უნდა? მართლა და ჩვენს ჩემპიონატში ინტრიგას რა უნდა?

**ვახტანგ ბზიკაძე**

P.S. ოპტიმისტად თუ არა, თავი არც პესიმისტად მომაქვს და იმედს არასდროს ვკარგავ. იმედი კი მაქვს, მაგრამ როდის გამიმართლდება, არ ვიცი. იმის იმედად თუ დადგები კაცი, რომ ჩვენი ფეხბურთის ამქარს ოდესმე ნამუსი შეაწუხებს. თუმცა, ამ ჩვენს ჭრელ ბაზარში ნამუსიც სანთლით საძებარი საქონელია.

31 მაისის „სარბიელში", „სამტრედია" — თსუ-ს მატჩის რეპორტაჟში ერთ-ერთი სადავო ეპიზოდის აღწერისას ნახსენები იყო თანამსაჯი ლავრენტი რაზმაძე, რაც შეცდომაა. მის ნაცვლად უნდა ეწეროს მეორე თანამსაჯი თამაზ ჩაგელიშვილი. დაშვებული უზუსტობისთვის ბოდიშს ვიხდით.

| № | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | № | პირველი წრე | | | | | | მეორე წრე | | | | | | სულ | | | | | | № |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | | 2:0 | 3:3 | 3:2 | 3:3 | 5:0 | 8:0 | 4:0 | 4:0 | 1:0 | 6:0 | 3:1 | 4:1 | 6:0 | 2:0 | 8:2 | 1 | 15 | 13 | 2 | 0 | 63-13 | 41 | 15 | 13 | 1 | 1 | 38-10 | 40 | 30 | 26 | 3 | 1 | 101-23 | 81 | 1 |
| 2 | კოლხეთი | 2:0 | | 3:2 | 0:1 | 3:2 | 6:1 | 7:0 | 1:1 | 4:0 | 1:0 | 4:0 | 1:1 | 7:0 | 6:2 | 4:0 | 1:0 | 2 | 15 | 10 | 2 | 3 | 34-19 | 32 | 15 | 10 | 2 | 3 | 41-9 | 32 | 30 | 20 | 4 | 6 | 75-28 | 64 | 2 |
| 3 | ბათუმი | 0:1 | 1:0 | | 3:0 | 3:1 | 1:0 | 4:1 | 5:0 | 2:0 | 4:1 | 4:0 | 1:0 | 7:0 | 3:0 | 6:0 | 4:0 | 3 | 15 | 10 | 4 | 1 | 40-9 | 34 | 15 | 8 | 4 | 3 | 31-13 | 28 | 30 | 18 | 8 | 4 | 71-22 | 62 | 3 |
| 4 | მერანი | 0:0 | 4:0 | 0:0 | | 3:1 | 2:1 | 4:0 | 1:0 | 0:0 | 4:1 | 2:1 | 4:2 | 0:0 | 3:1 | 5:0 | 4:1 | 4 | 15 | 7 | 4 | 4 | 22-17 | 25 | 15 | 11 | 2 | 2 | 31-11 | 35 | 30 | 18 | 6 | 6 | 53-28 | 60 | 4 |
| 5 | ტორპედო | 2:4 | 1:4 | 3:2 | 2:0 | | 4:1 | 5:2 | 5:0 | 1:1 | 4:3 | 3:1 | 1:1 | 3:0 | 3:0 | 6:1 | 3:0 | 5 | 15 | 6 | 1 | 8 | 32-34 | 19 | 15 | 8 | 3 | 4 | 38-24 | 27 | 30 | 14 | 4 | 12 | 70-58 | 46 | 5 |
| 6 | ოდიში | 1:3 | 4:1 | 1:3 | 0:2 | 5:0 | | 3:1 | 2:1 | 2:0 | 5:1 | 2:1 | 2:0 | 4:2 | 2:1 | 3:0 | 3:1 | 6 | 15 | 7 | 1 | 7 | 27-17 | 22 | 15 | 6 | 0 | 9 | 24-40 | 18 | 30 | 13 | 1 | 16 | 51-57 | 40 | 6 |
| 7 | მარგვეთი | 0:6 | 0:1 | 1:3 | 3:0 | 2:0 | 1:2 | | 2:1 | 4:0 | 3:0 | 2:1 | 0:0 | 2:0 | 4:1 | 3:0 | 1:2 | 7 | 15 | 9 | 1 | 5 | 26-21 | 28 | 15 | 3 | 1 | 11 | 18-45 | 10 | 30 | 12 | 2 | 16 | 44-66 | 38 | 7 |
| 8 | დილა | 0:1 | 1:0 | 0:0 | 1:2 | 3:2 | 2:0 | 4:3 | | 1:0 | 2:0 | 3:1 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 3:0 | 0:0 | 8 | 15 | 5 | 5 | 5 | 14-19 | 20 | 15 | 5 | 2 | 8 | 16-20 | 17 | 30 | 10 | 7 | 13 | 30-39 | 37 | 8 |
| 9 | სიონი | 1:2 | 0:3 | 3:0 | 1:1 | 2:4 | 1:0 | 4:1 | 0:0 | | 1:1 | 1:0 | 2:0 | 2:1 | 5:1 | 2:0 | 3:0 | 9 | 15 | 3 | 2 | 10 | 11-22 | 11 | 15 | 7 | 4 | 4 | 19-17 | 25 | 30 | 10 | 6 | 14 | 30-39 | 36 | 9 |
| 10 | გორდა | 2:6 | 2:4 | 0:1 | 0:1 | 3:1 | 5:2 | 2:1 | 1:0 | 2:0 | | 2:1 | 3:0 | 1:2 | 2:0 | 3:0 | 2:0 | 10 | 15 | 5 | 1 | 9 | 25-35 | 16 | 15 | 6 | 1 | 8 | 19-22 | 19 | 30 | 11 | 2 | 17 | 44-57 | 35 | 10 |
| 11 | სამგურალი | 0:1 | 0:0 | 2:2 | 1:1 | 2:1 | 2:1 | 4:1 | 2:1 | 1:0 | 3:0 | | 1:1 | 1:0 | 2:1 | 3:1 | 0:1 | 11 | 15 | 4 | 2 | 9 | 14-33 | 14 | 15 | 6 | 3 | 6 | 21-21 | 21 | 30 | 10 | 5 | 15 | 35-54 | 35 | 11 |
| 12 | თსუ | 1:5 | 0:2 | 1:1 | 1:2 | 2:2 | 3:1 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 0:0 | 5:0 | | 4:0 | 2:0 | 2:0 | 3:1 | 12 | 15 | 4 | 6 | 5 | 17-20 | 18 | 15 | 4 | 4 | 7 | 20-20 | 16 | 30 | 8 | 10 | 12 | 37-40 | 34 | 12 |
| 13 | გურია | 0:2 | 0:1 | 0:5 | 0:1 | 2:0 | 2:0 | 3:1 | 3:2 | 1:0 | 5:4 | 1:2 | 0:1 | | 2:2 | 3:0 | 1:0 | 13 | 15 | 6 | 2 | 7 | 16-26 | 20 | 15 | 4 | 1 | 10 | 17-37 | 13 | 30 | 10 | 3 | 17 | 33-63 | 33 | 13 |
| 14 | სამტრედია | 0:2 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 3:1 | 2:1 | 0:2 | 1:0 | 1:0 | 1:0 | 4:1 | 2:2 | 1:2 | | 2:1 | 3:1 | 14 | 15 | 6 | 0 | 9 | 16-28 | 18 | 15 | 3 | 4 | 8 | 15-29 | 13 | 30 | 9 | 4 | 17 | 31-57 | 31 | 14 |
| 15 | კახეთი | 2:5 | 1:3 | 1:1 | 1:0 | 1:2 | 4:2 | 0:1 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 3:2 | 0:1 | 4:2 | 1:0 | | 1:0 | 15 | 15 | 4 | 0 | 11 | 6-34 | 7 | 15 | 5 | 4 | 6 | 23-32 | 19 | 30 | 10 | 1 | 19 | 29-66 | 26* | 15 |
| 16 | ივერია | 0:1 | 2:6 | 0:0 | 3:4 | 1:4 | 0:0 | 1:2 | 0:0 | 0:0 | 2:3 | 0:0 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 0:2 | | 16 | 15 | 3 | 3 | 9 | 12-28 | 12 | 15 | 2 | 3 | 10 | 12-33 | 9 | 30 | 5 | 6 | 19 | 24-61 | 21 | 16 |

* - „კახეთს" ჩამოერთვა 5 ქულა X:Y - გამოუცხადებლობა; „სიონს" „კოლხეთთან" 2:1 მოგებულ მატჩში ჩაეთვალა წაგება, მასვე „ბათუმთან" 1:0-ზე შეწყვეტილ თამაშში მოგება ჩაუთვალეს.

# ვნახოთ, ვისი აჯობებს

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— სამაგისოდ კარგი ფიზიკური მომზადებაა საჭირო. თუ ატყობთ, რომ ბიჭები მზად არიან?**

— რა ვიცი, აკი გითხარით, ყველაფერს თამაში გვიჩვენებს. ისე კი, დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელები თავს არ დაზოგავენ და ბოლომდე დაიხარჯებიან. ძალიან სერიოზულად ემზადებიან, ყველას გაცნობიერებული აქვს ამ მატჩის მნიშვნელობა. მოკლედ, ბიჭებით კმაყოფილი ვარ.

**— მოლდოვის ნაკრებზე რაიმე ინფორმაცია თუ გაქვთ?**

— მოლდოვა — ინგლისის მატჩის ვიდეოჩანაწერი მოვიპოვეთ. ამ თამაშის შემყურე კი იმ აზრამდე მივედი, რომ მოლდოველები რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას არ გააკეთებენ, თუნდაც ფეხბურთელთა შერჩევის მხრივ, ვერც ტაქტიკურ სქემაში გამოიჩენენ ორიგინალობას. თანაც, ამათი სხვა თამაშების ფირსაც ვნახავთ და ყველაფერს შევისწავლით, იმასაც, რაც ჯერ არ ვიცით.

**— ამასწინდელ ინტერვიუში განაცხადეთ, სომხეთს, აზერბაიჯანს, უზბეკეთს და სხვა მათ დარ ნაკრებებს ტექნიკისა და სათამაშო იმპროვიზაციის ხარჯზეც მოვუგებთო. მოლდოვაზე რაღას იტყვით?**

— ეგ კი ვთქვი, მაგრამ გამორიცხულია, ფეხბურთელებს ასეთი დავალება მივცე. არასდროს ვეტყვი ბიჭებს, რაგინდ სუსტი მეტოქე გვყავდეს, გადით მოედანზე, ფინტების კორიანტელი დააყენეთ და გაიმარჯვებთ-მეთქი. მოწინააღმდეგეს იმით უნდა მოვუგოთ, რაზეც ვმუშაობთ. მთავარია, ტექნიკურად, ტაქტიკურად და ფიზიკურად ტოლად გამოვიყურებოდეთ. ისიც არ იქნება, მოლდოვას განსხვავებულად ვეთამაშოთ, ყველა მატჩის წინ დავალება ერთი და იგივე იქნება — რადაც უნდა დაგვეჯდეს, მობილური ფეხბურთი ვითამაშოთ. ვეცდებით თანამედროვედ, კოლექტიურად ვიმოქმედოთ.

**— თქვენი სიტყვებიდან ისე ჩანს, ფოთშიც ისევე ითამაშებთ, როგორც ინგლისში, თუნდაც იტალიაში.**

— არა, ზემოთ ნათქვამში ტაქტიკური სქემა არ მიგულისხმია. ინგლისში დაცვაზე გავამახვილეთ ყურადღება და კონტრშეტევებზე ავაგეთ თამაში, ასევე იყო იტალიაშიც, მაგრამ ახლა ასე ფონს ვერ გავალთ. ჩვენ მოგება გვჭირდება და პირველივე წუთიდან შევუტევთ. შემადგენლობაშიც აუცილებლად იქნება ცვლილებები. ვაპირებ თავდასხმის ხაზის გაძლიერებას, სადაც ნომინალურად სამი ფეხბურთელი ითამაშებს, მათგან ერთ-ერთი კი ოდნავ უკან დაიხევს და ნახევარდაცვას მიეხმარება, რათა უთავბოლოდ არ ვირბინოთ და მთელი 90 წუთი შეტევას არ მოვახმაროთ. დაცვასაც უნდა მივხედოთ. თუ საჭიროება მოითხოვს, უკანაც „ჩავსხდებით", მაგრამ ეს ყველაფერი ორგანიზებულად მოხდება, რაც საშუალებას მოგვცემს, მოლდოველებს ღირსეულად ვეთამაშოთ.

**— სამი თავდამსხმელი ბევრი ხომ არ არის?**

— არა, რატომ? როცა ჩვენი თამაშების ვიდეოფირი ვნახე, დავრწმუნდი, რომ თავდასხმის გაძლიერებაა საჭირო. ყველა მატჩში უამრავ საგოლე მომენტს ვქმნით და ვერცერთს ვიყენებთ. ამიტომ ვიფიქრე, ისევ ასე აჯობებს-მეთქი. გოლი თუ არ გაიტანე, თამაშს როგორ მოიგებ?

**— ნახევარდაცვაში რას აპირებთ? იაგორაშვილი და ასათიანი დაშავებულები არიან, ჯელაძე საერთოდ არ გამოგიძახიათ. პრობლემები ხომ არ შეგექმნებათ მარჯვენა ფლანგზე?**

— ეგ კი არა, მთლიანად ნაკრები ვერ დაგვიკომპლექტებია ისე, რაიმე პრობლემამ რომ არ იჩინოს თავი. ფაქტობრივად, ვერცერთ თამაშს ვერ ვატარებთ ერთი და იგივე შემადგენლობით. ახლაც ასეა — გახოკიძეზე რომ არაფერი ვთქვათ, კიკნაძე და ცქიტიშვილიც ყოფიანმა მიიწვია პირველ ნაკრებში. ვიფიქრეთ და შევთანხმდით, რომ როცა ურეკს გავემგზავრებით, 5 ივნისს წყალტუბოში შევუვლით ეროვნულს და მაშინ გადავწყვეტ ამათ საკითხს: ან ჩვენთან ერთად წამოვლენ, ანაც იქ დარჩებიან. ისიც არ არის გამორიცხული, რომ ესენი ფოთში წავიყვანოთ, ვათამაშოთ და მერე ყოფიანმა, თუ სურვილი ექნება, სათადარიგოებად გამოიყენოს. ამიტომ ჯერ ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი 6-ში დილით გადაწყდება. შემადგენლობას გადავხედავ, ყველაფერს გავითვალისწინებ და ძირითად შემადგენლობასაც ამის მიხედვით დავასახელებ.

**— ჩალაძე, დემეტრაძე, ფოცხვერია, იაშვილი, აშვეთია, ალადაშვილი — ყველანი თავდამსხმელები არიან. ალბათ ამიტომაც ამბობდით, წინა ხაზი უნდა გავაძლიეროთო...**

— ზემოთ ნახევარდაცვაზე მკითხეთ. სწორედ შუა ხაზის მარცხენა ფლანგზე უნდა ვათამაშო ფოცხვერია, რადგან ვიცი ამ ბიჭის შესაძლებლობები. დარწმუნებული ვარ, ამ ამპლუაში ისეთივე სარგებლობას მოგვიტანს, როგორც თავდასხმაში თამაშისას. ოღონდ ამას იმ შემთხვევაში გავაკეთებ, თუ კიკნაძე არ გვეყოლება, მის ადგილს კი გოგობერიშვილის ვანდობ. ამდენი თავდამსხმელის გამოძახებაზე კი იმას ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი წინასწარ გავითვალისწინე — ვიცოდი, შუა ხაზში პრობლემები რომ გვექნებოდა და ამათ ხარჯზე განვიზრახე ნახევარმცველთა დეფიციტის შევსება.

**— კი მაგრამ, რევაზიშვილი და მონასელიძეც ხომ ნახევარმცველები არიან?**

— მართალია, ძალიან პერსპექტიული ბიჭები არიან, მაგრამ გამოცდილება აკლიათ. ფაქტობრივად, არცერთი მათგანი არ გვინახავს სერიოზულ თამაშში, მონასელიძე კი სულაც მეორე ჯგუფში თამაშობს და ცოტა ძნელია, ასე უცებ დააყენო მნიშვნელოვან მატჩში. წარმოიდგინეთ, ნახევარდაცვა მხოლოდ გოგობერიშვილისა და საჯაიას ამარაა დარჩენილი.

**— ის სამი ნომინალური თავდამსხმელი ვინ იქნება?**

— კონკრეტულად გადაწყვეტილი არ მაქვს, მაგრამ მაინც გეტყვით. იაშვილი და ფოცხვერია, თუ თავდამსხმელებში ჩავთვლით, ბოლო თამაშებში ძალიან კარგად გამოიყურებოდნენ და ალბათ ამათ ვათამაშებ, მესამეს კი ჩალაძე — აშვეთიასგან ავარჩევ. თუმცა აქვე ამასაც ვიტყვი — ნურავის ეგონება თავი შეუცვლელი. მოლდოველებთან იმას ვათამაშებ, ვინც უკეთ იქნება მზად, ფიზიკურადაც და მორალურადაც.

**— დაცვაში როგორღაა საქმე?**

— შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე სტაბილურად დაცვის რგოლი გამოიყურება. მცველების ამბავიც თითქმის გადაწყვეტილია. თუ ცქიტიშვილს ვერ გამოვიყენებთ ლიბეროს პოზიციაზე, სილაგაძეს დავწევთ უკან, სტოპერად წერეთელს გავამწესებთ, ფლანგებზე კი, ალბათ, ისევ დიდავა და ხუჯაძე ითამაშებენ.

**— პოლონელებთან ინგლისმა ფრედ ითამაშა და ჩვენი საპირველადგილო შანსები ერთიორად გაიზარდა...**

— უკეთეს შედეგს ვერ ვინატრებდით. არაერთხელ მითქვამს, ისეთ ჯგუფში მოვხვდით და ისეთ გუნდებთან გვიწევს თამაში, რომლებიც ერთმანეთთან შეხვედრებისას აუცილებლად დაკარგავენ ქულებს-მეთქი. ახლაც ასე მოხდა და ამიტომ უფრო თამამად შეგვიძლია პირველობაზე ფიქრი. სულ იმას ვცდილობ, ბიჭებს შთავაგონო, რომ ჩვენი მიზანი ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაა. დასახული მიზანი მათზე დიდ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს. ახლაც ამას ვეუბნები — მოლდოვასთან გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია, უეჭველად უნდა მოვიგოთ, მერე კი პოლონელებზეც ვიფიქროთ-მეთქი...

**— მოლდოვას მერე პოლონელებთან თამაშამდე ექვსი დღე გრჩებათ...**

— ფეხბურთელების დასვენებას არ ვაპირებთ. ფოთში თამაშის შემდეგ ბათუმში ეროვნული გუნდების შეხვედრას დავესწრებით, ისევ ურეკში დავბრუნდებით და იქვე მოვემზადებით საპოლონეთოდ, 12 ივნისს კი ორივე ნაკრები ერთად გავემგზავრებით პოლონეთში. მართალია, იმ კლუბებმა, სადაც ჩვენი ლეგიონერები თამაშობენ, გვთხოვეს, მოლდოვას მატჩის შემდეგ ფეხბურთელები დაგვიბრუნეთ და პირდაპირ პოლონეთში გამოვუშვებთო, მაგრამ ნაკრები ნაკრებია. უეფაც თავისი წესებით ჩვენ გვემხრობა. ყველა მოთამაშე გუნდთან ერთად იქნება და პოლონეთშიც ერთად წავალთ.

**ძოგბა ინასარიძე**

# ფოცხვერიამ საქართველოში დასახლება გადაწყვიტა

ახალგაზრდა სამტრედიელი ივანე ფოცხვერია უკეთესი ცხოვრების ძიებამ ნოვოსიბირსკში წაიყვანა. მოგეხსენებათ, კომუნისტების დროს მშენებლებს ცივ მხარეებში ერთობ სახარბიელო ხელფასი ჰქონდათ. ივანე ფოცხვერიაც მშენებელი გახლდათ. სწორედ ნოვოსიბირსკში გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე და იქვე დაქორწინდნენ, 1975 წლის 12 აგვისტოს კი ქვეყანას პატარა მიშიკო მოევლინა. რას წარმოიდგენდა ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული მამა, რომ 21 წლის შემდეგ მიხეილ ფოცხვერია საქართველოს ნაკრების მაისურს მოირგებდა.

— მამაჩემი წარმოშობით სამტრედიის რაიონის სოფელ ქვიტირიდან არის. ბებია ახლაც იქ ცხოვრობს. ბიძა სამტრედიაშია. მოკლედ, საქართველოში ძალიან ბევრი ნათესავი მყავს, — ამბობს მიშა, — ჩვენი ოჯახიც ერთი ხანობა სამტრედიაში დაბრუნდა, მაშინ უკვე ციმბირიდან უკრაინაში ვიყავით გადასული, თუმცა, ძალიან ცოტა ხნით. მეორედან მეოთხე კლასამდე სამტრედიაში ვსწავლობდი. მამაჩემს მაინც სამშობლოში სურდა დაფუძნება, მაგრამ ისიც უნდოდა, რომ უმაღლესი უკრაინაში დამემთავრებინა. ამის გამო უკრაინაში გაბრუნება მოგვიხდა.



**— ვარჯიში სად დაიწყე?**

— სამტრედიაში, მაშინ მესამე კლასში ვიყავი. ხან ერთ ჯგუფში მავარჯიშებდნენ, ხან მეორეში. განსაკუთრებული მონდომებით კი ფეხბურთს ლუგანსკის ოლქის ქალაქ სვერლოვსკში მოვკიდე ხელი.

...აქ მიშამ კიდევ ერთ კითხვას უპასუხა, რაც მართლა ძალიან მაინტერესებდა — გაყინულ ციმბირში სად შეიყვარა ფეხბურთი? ასე მგონია, იქ მხოლოდ ბურთიანი ჰოკეის თამაში თუ შეიძლება. ეს რომ ვუთხარი, გაეცინა.

— ციმბირი აღარც მახსოვს. იქ ძალიან ცოტა ხანს ვცხოვრობდით. მე რომ დავიბადე, მალე მამაჩემმა უკრაინაში წასვლა გადაწყვიტა. ციმბირში მას შემდეგ არც ვყოფილვარ.

...ფოცხვერიას პირველი სერიოზული გუნდი უკრაინის I ლიგის სევერო-დონეცკის „ხიმიკი" გახლდათ. მაშინ მიშა ჯერაც უწვერული, მხოლოდ 15 წლის ბიჭი იყო. მერე კი დაიწყო და დაიწყო. ერთი წელი „როსტსელმაშის" დუბლებში გაატარა და ამის შემდეგ, 1994 წელს უკრაინის უმაღლესი ლიგის ლუგანსკის „ზარიაში" მოხვდა.

— ნამდვილი თამაში სწორედ მაშინ დავიწყე. ჩემი წინსვლაც ამ გუნდს უკავშირდება. ლუგანსკიდან ზაპოროჟიეს „მეტალურგში" წამიყვანეს, ამ გუნდის გერმანული შეკრებისას ჩემით „ვერდერის" ხელმძღვანელობა დაინტერესდა. ბრემენში ერთი თვე ვვარჯიშობდი, მაგრამ კონტრაქტი არ მქონდა გაფორმებული. გაურკვევლად ვიყავი — ვვარჯიშობდი და ისიც არ ვიცოდი, გუნდში ვიყავი ჩარიცხული თუ არა, და საერთოდ, იქ რას ვაკეთებდი, ეს ვერ გავარკვიე. ამის გამო უკრაინაში დაბრუნება ვამჯობინე. მალე კი „შახტიორში" აღმოვჩნდი. დონეცკში გადასვლამ ჩემზე კარგად იმოქმედა. „შახტიორში" გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩამომიყალიბდა. ახლა გუნდი უკრაინის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და მოთამაშეებიც მომთხოვნი გახდნენ საკუთარი თავის მიმართ. სასიამოვნოა, როდესაც მოედანზე გასვლისას მხოლოდ მაქსიმუმზე ფიქრობ. სხვაგვარად კარგ ფეხბურთელად ვერც ჩამოყალიბდები. ეს რწმენა, პასუხისმგებლობის გრძნობა და თავგანწირვა ნაკრებში მომყვება ხოლმე, რაც ჩემთვის ბევრს ნიშნავს. თანაც ვგრძნობ, რომ დონეცკში საგრძნობლად უკეთ ავთამაშდი.

...უკრაინის თასის ფინალში მიშას „შახტიორმა" „დნეპრი" დაამარცხა. როდესაც „სპორტ-ექსპრესს" გადავხედე, გამიკვირდა — შემადგენლობაში ფოცხვერიას გვარი მესამე ეწერა. ვიფიქრე, დაცვაში ხომ არ დახიეს-მეთქი?

— არა, საქმე მხოლოდ ისაა, რომ მუდმივი ნომერი არა მაქვს. ხან ერთი ნომრით მათამაშებენ, ხანაც მეორით. ფინალში, გაგიგიათ, 3 ნომრიანი მაისური მეცვა. სულ ხუთი ნომერი მოვირგე — 3, 8, 9, 10 და 11.

**— ბოლო დროს ხშირად არ გაგაქვს გოლები, რა არის მიზეზი?**

— „შახტიორში" წმინდა თავდამსხმელი არა ვარ, უკან დახევა ხშირად მიწევს, დაცვასაც ვეხმარები და ამის გამოა, ძველებური შედეგიანობით რომ ველარ გამოვირჩევი. წლევანდელი ექვსი გოლიც სწორედ მაშინ გავიტანე, როდესაც წინ წამწევდნენ. თავად კართან ტრიალი უფრო მიყვარს, მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილებას ვემორჩილები.

...დღევანდელი რუსეთის ნაკრების ბირთვს უკრაინაში დაბადებულ-გაზრდილი მოთამაშეები შეადგენენ — ონოპკო, ციმბალარი, ნიკიფოროვი, იურანი, კანჩელსკისი. სალენკომაც თავის დროზე რუსეთის ნაკრებში თამაში ამჯობინა. თითოეულ მათგანს ერთი მოტივი ჰქონდა — რუსეთის ნაკრებში უფრო დიდ პერსპექტივას ხედავდნენ და ამიტომ აქციეს სამშობლოს ზურგი. ახლა ასეთი მიგრაცია მსოფლიოში ჩვეულებრივი მოვლენაა და არავის უკვირს. გავიხსენოთ შონ დანდის მაგალითი. ამ ფონზე მიხეილ ფოცხვერია კაი ყმად გამოჩნდა — მან უკრაინისა და რუსეთის ნაკრებებს საქართველოს ახალგაზრდული გუნდი ამჯობინა. არადა, გულახდილად რომ ვთქვათ, ეს ორი სლავური ქვეყანა უფროა საფეხბურთო სამყაროს ყურადღების არეში. ეს ყველა ფეხბურთელმა იცის, მაგრამ ფოცხვერია გულით წყვეტდა. არჩევანს მარტივად ასაბუთებს:

— ნებისმიერი ადამიანი როდესმე არჩევანის წინაშე დგება. მე საქართველო ვამჯობინე. ქართველი ვარ და სხვაგვარად მოქცევის უფლება არც მქონდა. ამას არც ვნანობ.

...დღევანდელ კოსმოპოლიტიზმმოჭარბებულ მსოფლიოში ეროვნულ გრძნობას ასე რომ შეინარჩუნებს ადამიანი, მით უფრო ის, ვისაც საქართველოსთან მხოლოდ სამი წელი და ფესვებიღა აკავშირებს, უთუოდ პატივისცემას იმსახურებს. თვითონ მიშა ამას უბრალოდ ხსნის:

— ადამიანს საკუთარი მიწისკენ სწრაფვა მთელი ცხოვრება გაჰყვება. ვერ ვიტყვი, რომ დღე და ღამ ვოცნებობდი, საქართველოს ნაკრებში ვითამაშო-მეთქი, მაგრამ სურვილი მართლაც მქონდა. გამიხარდა, როდესაც გუცაევი ჩემით დაინტერესდა და ნაკრებში გამომიძახა.

**— ქართულ ფეხბურთს თუ იცნობდი?**

— მხოლოდ ზედაპირულად, ისიც საუბრებიდან. ზოგჯერ „დინამოს", „ტორპედოს", „გურიას" და სამტრედიის „ლოკომოტივის" თამაშებსაც ვუყურებდი. ასე რომ, ცოტა რამ ვიცოდი.

**— ქართული თუ გესმის? (ჩვენ რუსულად ვსაუბრობდით)**

— აზრი მესმის, თანაც საკმაოდ კარგად, მაგრამ თავად ქართულად ვერ ვსაუბრობ. ამის გამო ბიჭებს რუსულად ველაპარაკები.

**— ეს ხელს ხომ არ გიშლის თამაშისას?**

— არანაირ პრობლემას არ მიქმნის, არც ვარჯიშზე, არც თამაშზე. გავრილოვიჩიც (ვოვა გუცაევი) ხან რუსულად გვაძლევს დავალებებს, ხანაც ქართულად. მე კი ყველაფერი კარგად მესმის.

**— აბსოლუტურად ყველაფერი?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაფერი, თითოეული სიტყვა და დარიგება, ყოველ შემთხვევაში, აზრს ნამდვილად ვხვდები.

**— როდესმე თუ ფიქრობ საქართველოში დასახლებას?**

— ამის შესახებ მამამთან ერთად ბევრი ვიფიქრეთ და სერიოზულად გადავწყვიტეთ, მომავალში საქართველოში დავბრუნდეთ, მაგრამ სად, სამტრედიაში თუ თბილისში, ჯერ არ ვიცით. ერთი კია, აუცილებლად ვაპირებთ დაბრუნებას. თუმცა, ეს კარიერის შემდეგ მსურს.

...ინგლისთან შეხვედრის წინ გუცაევი ნერვიულობდა — ლონდონს უფოცხვერიოდ გაემგზავრა. მიშას დაგვიანებისთვის საპატიო მიზეზი აღმოაჩნდა — მისი მეუღლე ბავშვს ელოდებოდა და მშობიარობის წინ თავი შეუძლოდ იგრძნო. 25 მაისს, უკრაინის თასის მოპოვების შემდეგ, ფოცხვერიას გოგო შეეძინა და მას „შახტიორის" გამარჯვების აღსანიშნავად ვიქტორია დაარქვეს.

— ჩემი მეუღლე ნატალია კაზარინა ორი წლის წინ გავიცანი. იგი ზაპოროჟიელია, კიევში პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა. თავადაც სპორტსმენია — სპორტულ ტანვარჯიშში უკრაინის ჩემპიონი. ასე რომ, სპორტული ოჯახი შევქმენით. ვიქტორიაც უკვე „შახტიორში" გუნდის თილისმად მონათლეს.

...ინგლისის ახალგაზრდულთან შეხვედრის შემდეგ გუცაევმა თქვა, დღეს ფოცხვერიამ თავისი შესაძლებლობების მხოლოდ 30 პროცენტი აჩვენაო. არადა, იგი ყველას მოეწონა. თავად მიშა ამბობს:

— იმ დღეს ძალიან მინდოდა, კარგი შედეგისთვის მიგველწია. ამიტომ დაცვას უფრო ვეტანებოდი, ვიდრე თავდასხმას. მაშინ დაცვას ბევრი სამუშაო ჰქონდა და მსურდა, დავხმარებოდი. შესაძლოა, ამან ჩემი თამაში გააუფერულა კიდეც.

**— შენმა მენეჯერმა მითხრა, ფოცხვერიას სანახავად ინგლისში საგანგებოდ ესპანელი სელექციონერები ჩავლენო. ისინი თუ ნახე?**

— არც არავის შევხვედრივარ და არც არავისთან მისაუბრია. ეს ჩემი მენეჯერის კომპეტენციაში შედის. მაგრამ ამგვარი ვარიანტები დროებით გამორიცხა.

**— რატომ, ესპანელებს არ მოეწონე?**

— საქმე ისაა, რომ „შახტიორთან" კონტრაქტი კიდევ ორი წლით გავაგრძელე. ასე რომ, ჩემი წაყვანით დაინტერესებულებს „შახტიორის" თავკაცებთან მოლაპარაკება მოუწევთ.

**— დავიჯერო, უკეთეს გუნდში გადასვლა არ გსურდა?**

— „შახტიორმა" კონკრეტული და კარგი პირობები შემომთავაზა, სხვებისგან კი ასეთი წინადადება არ მიმიღია. იყო მხოლოდ საუბარი და მეტი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, ასე ვიცი. მე კი ცდა არ შემეძლო და დონეცკში დარჩენა ვამჯობინე.

**— შენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ ნაკრებს ოფიციალურ თამაშებში ჯერ გოლი არ გაუტანია?**

— ჩვენ ერთი გამართული ნაბიჯი უნდა გადავდგათ, მოვიგოთ და შემდეგ კარგი თამაში და გოლებიც იქნება. მთავარია, ნაკრები გაიხსნას. იმედი მაქვს, რომ სწორედ მოლდოვასთან გადავდგამთ იმ გამართულ ნაბიჯს.

**— ინგლისთან შეხვედრის შემდეგ მართლა იყო საუბარი შენს ეროვნულ გუნდში გადაყვანაზე?**

— შეიძლება ამაზე მწვრთნელები ერთმანეთში მართლაც თათბირობდნენ, თუმცა ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ერთი კი ვიცი, რომ შესარჩევი ეტაპი მალე დამთავრდება და მანამდე ეროვნულ ნაკრებში ვერ ვითამაშებ. ეს ჩემი აზრია. მე მხოლოდ ახალგაზრდულის მიწვევას ველოდი და გამიხარდა. ეროვნულში თამაში კი, ეტყობა, ჩემთვის ნაადრევია.

**— სლავურ ფეხბურთში გაზრდილს ქართულ ფეხბურთთან შეგუება არ გაგიჭირდა?**

— ბიჭებთან არანაირი პრობლემა არ მქონია. ასე მეგონა, დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. ვარჯიშების და თავად თამაშის სტილზე კი რა გითხრათ — თავიდან უცხო ყაიდაზე გადაწყობა გამიჭირდა. ახლა საქმე სხვაგვარადაა. აქაურ ფეხბურთს ალღო ავუღე და ნელ-ნელა შევთამაშდი კიდეც ბიჭებთან.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფედერაციაში ჭკუას არიგებენ

3 ივნისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეპირებული პრესკონფერენცია მოაწყო. ამ თავყრილობას პრესკონფერენცია პირობითად თუ დაერქმეოდა, თორემ ისე ეს იყო ვიცე-პრეზიდენტის სამუშაო ოთახში შეკრებილ სპორტულ ჟურნალისტთა მორიგი გასაუბრება ფედერაციის გენერალურ მდივანთან, ოღონდ, ადრინდელთან შედარებით, ყოველივეს ოფიციალური სახე ჰქონდა. მოკლედ, იმედები გვარიანად გაგვიცრუვდა. მაინც. რას ველოდით იქ შეკრებილი ჟურნალისტები? სენსაციურს და აქამდე უთქმელს არც არაფერს. ველოდით ფედერაციის პრეზიდენტს, რომელიც იმ დროს თავის კაბინეტში ბრძანდებოდა და სხვა საქმეებით გახლდათ დაკავებული. თავიდან ასეც ვიცოდით, პრესკონფერენციას ნოდარ ახალკაცი ჩაატარებს და ჩვენს ჩემპიონატში, განსაკუთრებით ფინიშზე, მომხდარი მრავალი უმსგავსობის ჩამდენთ საკადრისად მიუზღავსო. ველოდით ჩემპიონატის შედეგების შეფასებას, მრავალი ჭორ-მართლის დაზუსტებას და ბევრ სხვასაც, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. რატომო, იკითხავთ. იმიტომ, რომ პრესკონფერენციაზე ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი და ამომწურავი პასუხები არ მიგვიღია, უფრო თემიდან გადახვევას და საკუთარი აზრის თავზე მოხვევას შევიგრძნობდით. სამაგიეროდ, უხვად, დაუნანებლად იყო ჭკუის დარიგება. ისე გამოვიდა, თითქოს ჩვენ ქართული ფეხბურთის მტრები ვართ, გაგვიქრა სიყვარულის გრძნობა, ყველაში და ყველაფერში მარტო ცუდის დანახვას ვცდილობთ, ჩვენს ნათქვამ-ნაწერს არც ზომა ჰქონია და არც წონა. ვაქილიკებთ ყველას და, საერთოდ, მოჭორიკნე მეგაზეთეები ვყოფილვართ, რომელთათვის გაზეთის გაყიდვა-გასაღება ყველაფერზე მაღლა დგას.

ხშირად გვსმენია, გვაცადეთ მუშაობა და საქმის სასიკეთოდ ოფლის ღვრაში ხელს ნუ გვიშლითო. ახლა არც ღირს იმაზე ლაპარაკი, ვის რაში და როგორ შევუწყვეთ ხელი ან პირიქით. მოგვდგნენ და გვიკიჟინებენ, გვესიყვარულეთო, რაც ცოტა უცნაურიც კია. ამაგი არავისთვის დაგვიკარგავს, რეალური უფრო დიდებულად წარმოგვიჩენია და მადლობა არავისთვის გვითხოვია. თუ სხვები მუშაობენ, არც ჟურნალისტები ვართ მოცლილები. აბა, სახალხოდ მომხდარ დარღვევებზე თვალები როგორ დავხუჭოთ, სიმართლე რატომ დავმალოთ?!

მრავალი კითხვა დაისვა პრესკონფერენციაზე. სტადიონების სავალალო მდგომარეობით დაწყებული, მატჩის ოქმებით დამთავრებული. საუბარი ეროვნული ჩემპიონატის ყველა წვრილმანს შეეხო, მაგრამ ლაპარაკი მაინც ზოგადი გამოვიდა. ჩვენს ყველა კითხვას გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ უპასუხა, არადა, ოთახში ფედერაციის ლამის ყველა განყოფილების წარმომადგენლები ისხდნენ.

პრესკონფერენცია ისე დამთავრდა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არ მომშორებია. ისეთი სურათი დაიხატა, თითქოს ფედერაციას ამ სეზონში ერთი მცდარი ნაბიჯიც არ გადაედგას. ნახევრად დანგრეულ სტადიონებს და ნახრალ, ოღრო-ჩოღრო მინდვრებს არაფერი ეშველებათ. გუნდებს, რომლებიც თამაშებს აწყობენ და ხალხს ფეხბურთს აზიზღებენ, ვერაფრით დავსჯით, რადგან სახალხოდ გამოტანილ პამპულობის დამტკიცება შეუძლებელი ყოფილა. ვერ ვსჯით მსაჯთა მცემელ ფეხბურთელებსაც, რადგან წინ უნდა გავიხედოთ — ნაკრები უსტადიონოდ ხომ არ დარჩება, ფეხბურთის გულისთვის ომი ხომ არ დაიწყება. თუ ფეხბურთელმა მსაჯს შეაგინა, მსაჯმა იქვე უნდა დაუბრუნოს ხურდა, ქართველები არ ვართ! არადა, ვინ მოგითმენს დედის და ოჯახის გინებას?! საერთოდ, ჟურნალისტები მსაჯებს უნდა შევეშვათ. მარტო ის ვწეროთ, რომ ჩვენში დიდებული, უფრო მეტიც, ნამდვილი პროფესიონალი და სუფთა მსაჯები გვყავს, ესენი თუ ცდებიან, ოდენ შემთხვევით. მოკლედ, საერთოდ არ უნდა ვწეროთ, ჩვენ ხომ საგანი არ გვესმის, უსიყვარულო და მოღალატე ხალხი ვართ.

ჟურნალისტებმა თურმე ბევრ რამეზე უნდა დავხუჭოთ თვალი. ფედერაციამ თავისი საქმე იცის და, თუ რამე სხვაგვარად გვეჩვენა, ეს, უბრალოდ, გონივრული ლავირების შედეგი ყოფილა და ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ კეთდება. ფედერაციას შეუძლია ფეხბურთელიც დასაჯოს და გუნდიც დაითხოვოს გათამაშებიდან, მაგრამ მაშინ ჩემპიონატში ათამდე გუნდი შეგვრჩება და რას იტყვიან ფიფა და უეფა — ეს როგორ დაგემართათ ქართველებს, უფრო მეტი გუნდი როგორ ვერ მოაგროვეთო — შემოგვითვლიან. საწყალი შოტლანდიელები და ავსტრიელები, ამათ ფიფა და უეფა ალბათ ზედაც არ უყურებენ, შეგირცხვათ ათგუნდიანი ჩემპიონატებიო.

ფედერაციაც რატომღაც მხოლოდ „კახეთისნაირ“ გუნდებს თუ დასჯის, ბოლნისელებს მოგებული თამაშის შედეგს გაუუქმებს და, მსოფლიო ფეხბურთის პრაქტიკაში რომ არ გაგონილა, ისეთ განაჩენს გამოუტანს — 0:1-ზე წაგებას ჩაუთვლის. ესეც, რა თქმა უნდა, ჩვენი ფეხბურთის სასიკეთოდ კეთდება. ფედერაციამ იცის, რომ ასეთი გადაწყვეტილებების შემდეგ შეიძლება თავს მეხი დაიტეხოს, მაგრამ ისინი ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ ყველაფრისთვის მზად არიან...

ჟურნალისტებს კი კრიტიკულად წერა მაშინ შეგვეძლება, როცა გერმანული „კიკერის“ დონეზე ავალთ. მანამდე კი მხოლოდ კარგი, ავზეც კი კარგი უნდა ვწეროთ.

მოკლედ, ისევ ჭკუის სწავლება და დარიგებები, დარიგებები, დარიგებები...

გვეყოს, ბატონებო, ყველამ თავისას მიხედოს!

**მამუკა კვანტალიანი**

**სიახლე ქომაგებისთვის**

საქართველოსა და მოლდოვას ახალგაზრდულ ნაკრებთა და ეროვნულ გუნდთა მატჩების წინ ფოთსა და ბათუმში გაიყიდება ფირმა „ლაზის“ მიერ დამზადებული, საქართველოს ეროვნული დროშის ფერებით გაწყობილი სატკაცუნო-საქომაგო ალმები





AP ფოტოები · REUTERS ფოტოები

რობერტო კარლოსმა ულამაზესი გოლიც გაიტანა და დაცვაშიც სანაქებოდ გაირჯა: რობერ პირეს და ვინსენ კანდელას წინააღმდეგ

# თავადაც კარგად გაერთნენ

**ოთხთა ტურნირი**

**საფრანგეთი 1:1 ბრაზილია**

**საფრანგეთი:** ბარტეზი, კანდელა, ბლანი, დესაი (ტურამი 67), ლისარასუ, კარემბუ (ვიეირა 14), დეშამპი, პირე (კელერი 46), ზიდანი, მორისი, ბა

**ბრაზილია:** ტაფარელი, კაფუ, სელიო სილვა, ალდაირი (გონსალვეში 88), რობერტო კარლოსი, მაურო სილვა, დუნგა, ლეონარდო, ჟოვანი (ჯალმინია 69), რონალდო, რომარიო (პაულუ ნუნიეში 79)

**გოლი:** 0:1 რობერტო კარლოსი (20), 1:1 კელერი (60)

**მსაჯი:** კიმ ნილსენი (დანია)

ამა ქვეყნის ძლიერთა ტურნირის პირველი მატჩი ულამაზესი გამოდგა. ეს იყო შთამბეჭდავი სანახაობა — ორივე გუნდმა უსაზღვრო სიამოვნება მიანიჭა ლიონში შეკრებილ გულშემატკივრებს და არა მარტო მათ. მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მასპინძლის და პლანეტის ოთხგზის ჩემპიონის შეხვედრას ლიონის „ჟერლანის“ სტადიონი გაძეძგილი შეხვდა. უბრალო ქომაგთა შორის წარჩინებულნიც ერივნენ: ტურნირის ორგკომიტეტის თავმჯდომარე, ევროპის სამგზის საუკეთესო ფეხბურთელი მიშელ პლატინი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი პელე, დიეგო მარადონა, ფრანც ბეკენბაუერი, იოჰან კრუიფი, სტენლი მეტიუზი, ბობი ჩარლტონი, გორდონ ბენქსი და სხვანი. პელემ მატჩის მერე თქვა, კარგა ხანია, თამაშს ასეთ ალტაცებაში არ მოუყვანივარო. მას კრუიფმაც აუბა მხარი: „მართალია, მეტოქეებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშეს“.

მართლაც ასე იყო. ნილსენმა ჩასტვინა თუ არა, ისეთი თამაში გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. გუნდები არც ყრუ დაცვაში ჩამჯდარან და არც თავქუდმოგლეჯილი გაქცეულან წინ, ორივე მხარემ მისთვის ჩვეული ფეხბურთი თავისი საუკეთესო სახით წარმოაჩინა. ოკეანისგაღმელთა თავდასხმის მრისხანე წყვილს — რომარიო-რონალდოს ფრანგები, შეიძლება ითქვას, გაუმკლავდნენ, თუმცა არც ის ითქმის, ფორვარდები სულ ჩაკეტესო. სწორედ 20 წლის რონალდომ გააგზავნა კარისკენ ამ შეხვედრაში პირველი ბურთი — მისი უძლიერესი დარტყმა საფრანგეთის ჩემპიონმა ბარტეზმა ნახტომში კუთხურზე გადააგდო. ეს მე-10 წუთზე მოხდა, მალე კი კარემბუ რონალდოსთან ორთაბრძოლისას დაშავდა და არსენალელი ვიეირათი შეცვალეს. ნაადრევმა ცვლილებამ მასპინძელთა აწყობილ დაცვას გარკვეულად დაღი დაასვა და ალბათ ამიტომაც იყო, პირველ ტაიმში ფრანგი მცველები ერთმანეთის დაზღვევისას ხანდახან რომ ცდებოდნენ. ერთ მომენტში კაფუმ მარჯვენა ფლანგზე ორჯერ გააბითურა მარსელ დესაი და ჩააწოდა, მაგრამ თავგადაპარსულმა რომარიომ ვერ ივარგა. ტაიმის შუაში ზაგალოს ბიჭების ტერიტორიული უპირატესობა გამოიკვეთა, რასაც სრულიად უწყინარ სიტუაციაში გოლი მოჰყვა: ფრანგთა კარიდან დაახლოებით 35 მეტრში ნილსენმა ჯარიმა დანიშნა, მადრიდის „რეალის“ 24 წლის მცველმა, ნაკრებში 31-ედ მოთამაშე რობერტო კარლოსმა ბურთი კლასიკური „ხმელი ფოთლით“ მასპინძელთა ოთხკაციან ცოცხალ კედელს შემოატარა და ერთ ადგილას გახევებული ბარტეზის კარში შეარჭო. ეს ბრაზილიელის მეორე გოლია ნაკრებში. ამან ფრანგები გონს მოიყვანა და ზიდანმა წინწაწეული ბასა და პირეს ერთობ სახიფათო პასებით მომარაგებას მიჰყო ხელი, რომელთა გამოც ერთი-ორჯერ ტაფარელი გვარიანად შეშფოთდა.

მეორე ტაიმი მასპინძლებისა იყო — მათ უპირატესობა მატჩის დასასრულამდე შეინარჩუნეს. „თეთრთმიანი“ ზანგის — ბას და პირეს ნაცვლად მოედანზე შესული „კარლსრუეს“ ფორვარდის მარკ კელერის სახიფათო მოქმედებამ შედეგი მოიტანა — საპასუხო გოლს, როგორც იქნა, საშველი დაადგა. თუმცა მანამდე ფრანგებმა გაყაიმების რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან, როცა ზიდანმა თავისუფალი დარტყმით 6 მეტრიდან ბურთი კარის ხაზზე მდგომ კაფუს ფეხში მოარტყა. გოლი კი ასე გავიდა: ფრანგთა მორიგი თავდასხმა ზაგალოს ბიჭებმა კარგად ვერ მოიგერიეს და წამოპარულმა ბამ მორისს მიაწოდა, ამის დარტყმულს კი ტაფარელმა ისე წაჰკრა ხელი, რომ ბურთი ოდნავ მოშორებით მდგომ კელერს მიუგორდა. ცარიელ კარში შეგდებას წინ რაღა ედგა და კარლსრუელმაც იმარჯვა. ანგარიშის გათანაბრება და ბრაზილიელთა გაავება ერთი იყო, თუმცა სახიფათო მომენტების იქით საქმე არ წასულა. შეხვედრის მიწურულს კაფუმ მოედნის ცენტრში დეშამპს თავზე გადაუგდო ბურთი, მერე ორი მასპინძელიც მოატყუა და ფრანგებს ისღა დარჩათ, რომ წააქციეს ბრაზილიელი. მატჩი უკვე მთავრდებოდა, როცა ლისარასუმ ერთობ სახიფათოდ შეუტია, საჯარიმოში კარგად შესულმა ალჟირელ ფრანგ ზიდანს მიაწოდა, ამის დარტყმულმა კი კარს 20 სანტიმეტრში ჩაუქროლა. მოკლედ, ფრანგებმა ვერც ახლა აჯობეს ბრაზილიელებს და მათთან ზედიზედ მოუგებელ მატჩთა რიცხვი 7-მდე გაზარდეს.

მატჩის შემდეგ მარიო ზაგალომ თქვა, ეს გრანდების ბრძოლა იყოო: „პირველ ტაიმში კარგად ემოქმედებდით, მაგრამ მეორეში ფრანგებმა გვაჯობეს. ანგარიში ზუსტად ასახავს თამაშის პერიპეტიებს და მეტოქეთა დღევანდელ დონეს. ორჯერ დამარცხება არ გეჩვევია, ამიტომაც პირველივე წუთებიდან შევუტიეთ. ჩვენი მიზანი მოგება იყო, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. მეტოქე ღირსეულად შეგვებრძოლა. საფრანგეთი მართლაც კარგი გუნდია“.

ზაგალოს კოლეგამ, კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულმა ჟაკემ კი განაცხადა, ჩვენ ჩვენი ნამდვილი სახე ვაჩვენეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმშიო: „შესანიშნავი თამაში იყო. იმის კვალობაზე, რომ ბიჭებს ახლა დაუმთავრდათ ჩემპიონატები და კვირას შემოგვიერთდნენ, კარგად ვითამაშეთ. თანდათან ვყალიბდებით და ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საუკეთესო ფორმაში ვიქნებით, მანამდე კი ამ ტურნირის მოგება გვსურს“.

პირველი გოლის ავტორმა რობერტო კარლოსმა მატჩის მერე თქვა, რომ ზუსტად ასეთივე გოლი გაუტანა „რომას“ ჯერ კიდევ „ინტერში“ ყოფნისას, მაგრამ მაშინ ჯარიმა არ დაურტყამს — პირდაპირ თამაშიდან შეაგდო. თავის კარიერაში მან ეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გოლად მიიჩნია და დასძინა, მთავარი უფრო ის არის, რომ ოსლოს შოკს თავი დავაღწიეთ — მერწმუნეთ, ამიერიდან ბრაზილია უფრო და უფრო კარგად ითამაშებსო. რობერტო კარლოსის მეტოქემ იბრაჰიმ ბამ კი აღნიშნა, უფრო კარგად შეგვეძლო თამაში, მაგრამ მეტოქის ცქერით გავერთეთო.

**ლაშა გოდუაძე**

**გერმანიის კლუბ დორტმუნდის „ბორუსიის“ პრეზიდენტმა გერდ ნიბაუმმა გადადგომა გადაწყვიტა. ამ დღეებში, ეს რომ განაცხადა, იქვე დასძინა, ჩემს შემცვლელს შემოდგომით კლუბის აქციონერთა სახელდახელო შეხვედრაზე დავადგენთო. ნიბაუმის პრეზიდენტობის დროს დორტმუნდელებმა ისტორიაში უდიდესი მწვერვალები დაიპყრეს.**

**პორტუგალიის** უტიტულოვანესმა გუნდმა „ბენფიკამ“, შესაძლოა, „ჩელსიდან“ 30 წლის ნახევარმცველი სკოტ მინტო შეიძინოს. თავად ფეხბურთელი ამ დღეებში ლისაბონში იყო და „ბენფიკას“ თავკაცობას საათნახევარი ესაუბრა. თავის დროზე „ჩელსიმ“ მინტო 800 ათას გირვანქად შეიძინა, ახლა კი მისი ფასი რამდენიმე მილიონია.

**რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ გაისად საბერძნეთის „პანათინაიკოსს“ უხელმძღვანელებს. მისი თავკაცობით რუმინელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გამართული ყველა შეხვედრა მოიგეს და თან გოლიც არ გაუშვეს. ამით მოხიბლულმა ბერძნებმა იორდანესკუ თავისთან მიიპატიჟეს.**

**ჰოლანდიურმა** „აიაქსმა“ შეიძინა 19 წლის კოსტა-რიკელი ფორვარდი ფროილენ ლედეზმა, 20 წლის მცველ მარიო მელხიოტს კი კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაუგრძელა.

**ინგლისის ნაკრების წევრმა ტედი შერინგემმა განაცხადა, შესაძლოა, „ტოტენჰემიდან“ წავიდეო. 31 წლის ფორვარდმა, რომელიც ამჟამად საფრანგეთში იმყოფება ოთხთა ტურნირზე, თქვა, რომ ინგლისში თამაში საკმარისია და ახლა სხვაგან სურს ძალების გამოცდა.**

**საფრანგეთის** ქალაქ ტულონში მიმდინარე 21 წლამდე ფეხბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე მორიგი შეხვედრები გაიმართა. პირველ ჯგუფში კოლუმბიამ ჩეხეთი სძლია 3:0, პორტუგალიამ კი აშშ-სთან დაზავებით (1:1) ჯგუფში იმარჯვა და დღეს ფინალში მეორე ჯგუფის გამარჯვებულ საფრანგეთის ნაკრებს შეხვდება. ამათ ჯგუფში მაროკომ ხორვატებს მოუგო 4:0.

**ესპანელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ განაცხადა, მომავალ წელს „ესპანიოლს“ ვუმწვრთნელებო. წელს იგი „სევილიაში“ მუშაობდა, თუმცა უშედეგობის გამო გაათავისუფლეს.**

**ნორვეგიელი** ოივინდ ლეონარდსენი „უიმბლდონიდან“ ბავშვობის საყვარელ გუნდს „ლივერპულს“ შეუერთდა.

**ფეხბურთის რუკასთან**



მისი თქმით, ყმაწვილკაცობაში „ლივერპულის“ ფანი გახლდათ, კიგანი და დალგლიში კი მისი საყვარელი ფეხბურთელები იყვნენ. ლეონარდსენის გარდა ლივერპულში ორი ნორვეგიელი — ბიორნებიუ და კვარმე თამაშობს.

**ბულგარელმა ხრისტო სტოიჩკოვმა განაცხადა, ნაკრების მიმართ არანაირი პრეტენზია აღარ მაქვს და იმედია, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებში გამომიძახებენო. ხრისტო პლოვდივში შეხვდა ბულგარელთა თავკაც ხრისტო ბონევს და თანადგომა აღუთქვა.**

**შოტლანდიელი** ენდი ბუთი „აბერდინიდან“ ჩემპიონთა თასის მფლობელ დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადაბარგდა. პოლ ლამბერტის მერე ბუთი დორტმუნდელთა მეორე სქოთია. ახალწვეული შეცვლის „კიოლნში“ 800 ათას დოლარად გადასულ რენე ტრეჩოკს.

**საფრანგეთის „ოლიმპიკის“ განცხადებით, მათი ჟან კრისტოფ მარკოთი თურმე პრემიერლიგის „ნიუკასლი“ ყოფილა დაინტერესებული. მარკომ მარშან „ლივერპულიდან“ მიიღო მიწვევა, თუმცა მაშინ იუარა, ახლა კი წინასწარი საუბრისას ტრანსფერზე დათანხმდა.**

**მოლდოვას** ჩემპიონატში კიშინიოვის „კონსტრუქტორულმა“ იმარჯვა და თანაქალაქელი „ზიმბრუს“ ხუთწლიანი ბატონობა ალაგმა. ბოლო ტურში ჩემპიონებმა ბესარუბასკას „ლოკომოტივი“ გაანადგურეს 8:0.

**ბრაზილიის „კრუზეირომ“ ლიბერტადორესის თასის გათამაშების მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩი თანამემამულე „გრემიოსთან“ 1:2 წააგო, ნახევარფინალში კი გააღწია: პირველი შეხვედრა „კრუზეირომ“ 2:0 მოიგო და ორი მატჩის ჯამში უპირატესობას მიაღწია 3:2. ნახევარფინალებში შეხვდებიან ჩილეს „კოლო-კოლო“ — „კრუზეირო“ და პერუს „სპორტინგ კრისტალი“ — არგენტინის „რასინგი“. პირველი ნახევარფინალები 23 ივლისს გაიმართება, განმეორებითი — 30-ში.**

**გერმანიის** ჩემპიონთა პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერის განცხადებით, „ბაიერნი“ ახალ-ახალ მოთამაშეებს შეიძენს. ახალი სეზონის წინა შეკრებაზე გუნდში უკვე იქნებიან მიხაელ ტარნატი და ტორსტენ ფინკი. ისიც გადაწყდა, რომ ბრაზილიელი ელბერი ახალ სეზონში იტალიაში წასულ კლინსმანს შეცვლის. კაიზერის თქმით, არაა გამორიცხული, ლისარასუც შეისყიდონ.

**რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა უეფაში განაცხადი შეიტანა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე, სადაც ნათქვამია: „ჩვენ ვიბრძოლებთ ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძლობის უფლებისთვის, ვინაიდან ამის დიდი სურვილი გვაქვს. მართალია, ახლა რუსეთს უჭირს, მაგრამ იმდენს მაინც შევძლებთ, 2004 წლისთვის 7-8 მსოფლიო კლასის სტადიონი ავაშენოთ“. ამასობაში ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის განზრახვას, უმასპინძლოს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატს, ქვეყნის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა. ავსტრიის მთავრობამ ფეხბურთის მამებს სრული თანადგომა აღუთქვა, თან სარეკლამო კამპანიისთვის და სხვა წინასწარი ხარჯებისთვის ფეხბურთის ფედერაციას 150 მილიონ დოლარამდე შეპირდა.**

# რიდი ნურავისი გვექნება

ფაქტია, ინტერტოტოს გათამაშება ევროპელებში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს და რამდენიმე ქვეყანა სულაც უარს ამბობს მასში მონაწილეობაზე. ზოგი ქვეყნის კლუბი კი თავად არიდებს თავს ამ ტურნირს და ტოტოსკენ გზას უფრო დაბალ ადგილზე გასულს უთმობს. წელსაც ასე მოხდა: ჩვენს „მერანს" საბერძნეთის ჩემპიონატის საბოლოო ცხრილმა მეტოქედ „კავალა" კი არგუნდა, მაგრამ ამან უეფას მეოთხე ტურნირში მონაწილეობა არ ისურვა. თბილისელთა პრეზიდენტის ნუგზარ ნავაძის თქმით, „კავალას" შეცვლის სალონიკის „ირაკლისი", რომელმაც საბერძნეთის ჩემპიონატი მე-15 ადგილით დაასრულა. ასევე „დაუმსახურებლად" გვეთამაშება ავსტრიის „რიდიც".

ამგვარად, გაირკვა ჩვენი ინტერტოტოელის ყველა მეტოქე:

„მერანი" — „ტორპედო ლუჟნიკი"
თბილისი. 21-22 ივნისი

„ირაკლისი" — „მერანი"
სალონიკი. 28-29 ივნისი

„მერანი" — „ფლორიანა"
თბილისი. 5-6 ივლისი

„რიდი" — „მერანი"
რიედი. 12-13 ივლისი

„ირაკლისი" 1908 წელს დაარსდა. სალონიკელები ტიტულებით თავს ვერ მოიწონებენ — მხოლოდ ერთხელ, ისიც 21 წლის წინ, 1976 წელს მოიპოვეს საბერძნეთის თასი. თავი ვერც წლევანდელ ჩემპიონატში გამოიჩინეს და ბოლოდან მეოთხე ადგილს დასჯერდნენ — 34 შეხვედრაში 11-ჯერ გაიმარჯვეს.

„ირაკლისი" საშინაო შეხვედრებს სალონიკის „კაფუტზანცოლიოს" 45-ათასიან სტადიონზე ატარებს.

ავსტრიის „რიდი" ბერძნულ კლუბზე ოთხი წლით „ახალგაზრდაა" — 1912 წელს დაარსდა. სალონიკელების დარად, ესენიც უტიტულონი არიან. თუმცა, ბერძნებს ერთხელ მაინც უხეირიათ, რიედელებს კი ჩემპიონატში და თასზე ერთხელაც არ უმარჯვიათ. ახლაც, ავსტრიის გუშინწინ დასრულებულ ჩემპიონატში მერვე ანუ ბოლოდან მესამე ადგილზე გავიდნენ. მერანელთა მეტოქე საშინაო თამაშებს „რიდ შტადიონზე" ატარებს, 10 200 მაყურებელს რომ იტევს.

ბერძენ მეტოქეში „მერანს" გარკვეულწილად გაუმართლა. ჯერ ერთი, ცხრილიდან ნათელია, რომ „ირაკლისი" „კავალაზე" სუსტი გუნდია, მეორე კი ის, რომ ამ ზამთარს მერანელთა მოთამაშე ლადო ჭოლოკავა „ირაკლისში" ისინჯებოდა და თემურ მახარაძეს უშუალო თვითმხილველისგან შეუძლია გარკვეული ინფორმაციის მოპოვება ბერძნულ კლუბზე. ლადოს ჩვენც ვთხოვეთ გუნდის აუ-კარგზე ორიოდე სიტყვის თქმა.

— მე ცოტა ხანს ვვარჯიშობდი გუნდთან ერთად, მხოლოდ ერთ, ორმხრივ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა და ამიტომ ბევრს ვერაფერს გეტყვით, თუმცა ნანახს მაინც გიამბობთ.

„ირაკლისი" წელს დიდ კრიზისს განიცდიდა, ჩემს იქ ყოფნაში საბერძნეთის ჩემპიონატში ბოლოდან მეორე ადგილი ეკავა. როგორც ჩანს, გუნდმა მეორე წრეში მდგომარეობა გამოასწორა და გავარდნას თავი დააღწია. თუმცა, ისეც არ არის საქმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს: ნამდვილად ვერ ვიტყვი, მათი მოგება იოლია-მეთქი.

**— გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები თუ გენიშნა?**

— შევნიშნე, რომ დაცვაში მოიკოჭლებდნენ. ლიბერო ასაკოვანი ჰყავთ, სისწრაფე აკლია და მუდამ აგვიანებს. უფრო ძლიერი ნახევარდაცვაა — ცენტრში ბერძენ ფეხბურთელს ტანმაღალი იუგოსლაველი ჰყავს შეწყვილებული. მარჯვენა ფლანგი კი ახალგაზრდა, მოძრავ და ტექნიკურ ჰავბეკს აბარია, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს გუნდისთვის. მარცხენა მცველი კი ვერ არის დიდი ბედენა — ხშირად ისე ერთვება თავდასხმაში, რომ დაცვას აშიშვლებს. თავდამსხმელიც ზორბა ჰყავთ.

**— შენ რეალურად შეგიძლია „მერანის" შანსები შეაფასო...**

— შინ რომ ვთამაშობდეთ, ვიტყოდი, გამარჯვება შესაძლებელია-მეთქი. დავრწმუნდი, რომ ვარსკვლავებს არ ეთამაშებიან, მე ორმხრივ თამაშში ერთი გოლიც კი გავიტანე. თუმცა, იქ ვითარებას ბევრად განაპირობებს ბერძენი გულშემატკივარი. თამაშებისას მათი ყიჟინისგან ტრიბუნები ლამის დაინგრეს და ძნელია სტუმართა გუნდისთვის ასეთი დაწოლის გაძლება. თუმცა, შეუძლებელი არაფერია.

**მერაბ გამულაშვილი**

FRANCE 98

შესარჩევი ტურნირი

# ორმაგი ირანული რეკორდი

თითქოს ჩვეულებრივი მატჩი იყო — მსოფლიოს ჩემპიონატის აზიის მეორე შესარჩევი ჯგუფის პირველი მატჩი. სირიის დედაქალაქ დამასკოში ირანი და მალდივეთი თამაშობდნენ. ირანი ვიცით, მალდივეთი კი, თუ ძალიან დაინტერესდებით, მსოფლიოს რუკაზე ინდოეთს ოდნავ ჩამოსცდით და საფანტივით გაბნეულ კუნძულებს რომ აღმოაჩენთ, სწორედ ისაა. დედაქალაქიც გააჩნია, მალე ჰქვია. ჰოდა, სულ მალე-მალეო — ეძახდნენ ერთმანეთს ოთხშაბათს ირანელები და საცოდავ მალდიველებს 17 გოლი გაუტანეს. ცხადია, უპასუხო, რადგან ჰომეინელთა ნახევარზე გადასვლას დრო სჭირდებოდა, დრო კი 17 გოლის გატანას იმდენი უნდა... არ დაიზაროთ, გამოვითვალოთ და აღმოჩნდება, რომ მალდივეთის კარში გოლი ყოველ 5 წუთსა და 18 წამში გადიოდა.

მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდი დამყარდა. თან ორი — ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება და ერთ მატჩში გატანილი გოლების რაოდენობა. რეკორდი ყოველთვის მოვლენაა და ამიტომ ჩვენც, სანამ დროა, მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა უხვგოლიანი მატჩები გავიხსენოთ, თუმცა ქვემოთ მოტანილ ცხრილში, ცხადია, ერთი გუნდის მეორეზე აქამდე მოპოვებულ ყველაზე დიდ უპირატესობათა ნუსხასაც ნახავთ. სანამ დროაო კი, იმად ვთქვით, რომ წუხელ მალდივეთი მთლად მასპინძელ სირიას უნდა შეხვედროდა. იმედია, მკითხველი არ დაიზარებს და ამ მატჩის შედეგს ცხრილში თავად მიუჩენს სათანადო ადგილს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 | ირანი — მალდივეთი 17:0 | 1998 | შ |
| 14 | ჰონდურასი — სენტ ვინსენტი 11:3 | 1998 | შ |
| 13 | ახალი ზელანდია — ფიჯი 13:0 | 1982 | შ |
| 12 | ლიხტენშტაინი — მაკედონია 1:11 | 1998 | შ |
| 12 | ტრინიდადი — ანტიგუა 11:1 | 1974 | შ |
| 12 | გფრ — კვიპროსი 12:0 | 1970 | შ |
| 12 | ავსტრია — შვეიცარია 7:5 | 1954 | ფ |
| 12 | უნგრეთი — საბერძნეთი 11:1 | 1938 | შ |
| 11 | მექსიკა — სენტ ვინსენტი 11:0 | 1994 | შ |
| 11 | მაკაო — ქუვეითი 1:10 | 1994 | შ |
| 11 | უნგრეთი — სალვადორი 10:1 | 1982 | ფ |
| 11 | ბელგია — ისლანდია 8:3 | 1958 | შ |
| 11 | უნგრეთი — გფრ 8:3 | 1958 | ფ |
| 11 | ინგლისი — ჩრდ. ირლანდია 9:2 | 1950 | შ |
| 11 | ბრაზილია — პოლონეთი 6:5 | 1938 | ფ |
| 10 | იაპონია — მაკაო 10:0 | 1998 | შ |
| 10 | ნორვეგია — სან მარინო 10:0 | 1994 | შ |
| 10 | ავსტრალია — ფიჯი 10:0 | 1982 | შ |
| 10 | მალაიზია — ტაილანდი 6:4 | 1978 | შ |
| 10 | რუმინეთი — იუგოსლავია 4:6 | 1978 | შ |
| 10 | იუგოსლავია — ფინეთი 9:1 | 1970 | შ |
| 10 | საფრანგეთი — პარაგვაი 7:3 | 1958 | ფ |
| 10 | ფინეთი — სსრკ 0:10 | 1958 | შ |
| 10 | ავსტრია — პორტუგალია 9:1 | 1954 | შ |
| 10 | ჩრდ. ირლანდია — შოტლანდია 2:8 | 1950 | შ |
| 10 | ლუქსემბურგი — გერმანია 1:9 | 1934 | შ |

*აღნიშვნა: შ — შესარჩევი ტურნირი*
*ფ — ფინალური ეტაპი*


**იყიდება**

რუსული ყოველკვირეული

**„ფუტბოლის"**

ყველა ნომერი — პირველიდან ბოლოს ჩათვლით.

*ფასი შეთანხმებით*

*დარეკეთ: 22-58-43*

*იკითხეთ მამუკა*


OFB

## ავსტრია

36-ე ტური. ზალცბურგი — შტურმი 0:0, კაზინო — აუსტრია 0:0, ლინცერი — ტიროლი 0:4, რაპიდი — ადმირა ვაკერი 7:0, რიდი — ლინცი 2:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 36 | 19 | 12 | 5 | 54:25 | 69 |
| რაპიდი | 36 | 18 | 12 | 6 | 69:36 | 66 |
| შტურმი | 36 | 14 | 13 | 9 | 50:31 | 55 |
| ტიროლი | 36 | 16 | 7 | 13 | 49:40 | 55 |
| კაზინო | 36 | 11 | 14 | 11 | 39:42 | 47 |
| აუსტრია | 36 | 12 | 10 | 14 | 41:51 | 46 |
| ლინცერი | 36 | 9 | 17 | 10 | 38:47 | 44 |
| რიდი | 36 | 12 | 6 | 18 | 44:59 | 42 |
| ლინცი | 36 | 6 | 13 | 17 | 30:47 | 31 |
| ადმირა ვაკერი | 36 | 6 | 10 | 20 | 35:71 | 28 |

# დამთავრდა და დაიწყო!

## იტალია

კვირას იტალიის მორიგი ჩემპიონატი დასრულდა, მაგრამ კლუბების თავკაცებმა მაშინათვე თავიანთი სატრანსფერო ჩემპიონატი წამოიწყეს.

„იუვენტუსმა" პირველობა ორი ტურით ადრე გაინაღდა, თუმცა ჩემპიონობა ბოლო თამაშის მერე აღნიშნა, რასაც გუნდის თავკაცობა — ანიელების სახელგანთქმული ოჯახიც ესწრებოდა. წვეულებაზე გუნდის საპატიო პრეზიდენტმა ჯანი ანიელიმ ლიპის ხუმრობით სთხოვა, ახლა ეგებ ზედიზედ ექვსი ჩემპიონატი მოიგო, ძალიან მინდა „იუვეს" მაისურზე მესამე ვარსკვლავსაც მოვესწროო. თავად მარჩელომ, რომელსაც საჩემპიონო სუფრაზე მაინცდამაინც დიდი სიხარული არ გამოუხატავს, უპასუხა, ზედიზედ ექვსი პირველობის მოგებას ვერ დაგპირდები, მაგრამ ასეთი გუნდით გამუდმებით მოგების ცდაში ვიქნებიო.

„იუვენტუსმა" ვაჭრობა აქედანვე დაიწყო და უკვე სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი, ბერგამოელი ფილიპო ინძაგის შესყიდვაც მოასწრო. ინძაგის „პარმა" და მადრიდის „ატლეტიკოც" იწვევდა. ლიპიმ თქვა, მომავალ სეზონში ფილიპოს დიდი იმედი მაქვს, კაი ხანია, ჩვენ ნამდვილი ბომბარდირი არ გვყოლიაო. მართლაც, „ბებერი ქალბატონი" ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ გატანილი 51 გოლით „სამპდორიას" (60 ბურთი), „ლაციოს" (54) და „უდინეზეს" (53) უკან მოექცა, რამაც ლიპი დააფიქრა. სეზონის წინ ტურინელებმა „ლაციოდან" ხორვატი ბოქშიჩი შეიძინეს, მაგრამ იანვარში მიღებულმა ტრავმამ მის თამაშს დაღი დაასვა და სიმწვავე მოაკლო, რის გამოც შავ-თეთრთა ხელმძღვანელობამ იგი ტრანსფერზე დააყენა.

„იუვენტუსის" მსგავსად პირველობის დამთავრებისთანავე ამოქმედდა „ლაციოს" თავკაცობა. მათ უკვე შეიძინეს 15 სეზონის მანძილზე „სამპდორიაში" მოთამაშე მანჩინი. რობერტო ახლა ამერიკაში მიჰყვება „სამპდორიას", მაგრამ ჩამოსვლისთანავე რომში გადაინაცვლებს. კლუბის პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ „სამპდორიას" შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონიც მიიწვია. „თუ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ვგეგმავთ, ორ წელიწადში ახლანდელი „იუვენტუსის" დონეზე ვიქნებით. ორი-სამი ახალი ფეხბურთელით „ლაციო" უფრო გაძლიერდება და უახლოეს მომავალში ჩემპიონობისთვისაც იბრძოლებს. ამას გპირდებით." — თქვა ერიქსონმა პირველსავე პრესკონფერენციაზე. ახლახანს ცნობილი გახდა, რომ კრანიოტის „სამპდორიის" მესამე წევრის, არგენტინელი ნახევარმცველის, ხუან სებასტიან ვერონის ყიდვაც უნდა. რომაელებმა გენუელებს მის სანაცვლოდ 14 მილიონ 700 ათასი დოლარი შესთავაზეს.

„ლაციოსგან" გალეტილმა „სამპდორიამ" მანჩინის შემცვლელად მიუნხენის „ბაიერნის" ვარსკვლავი იურგენ კლინსმანი შეიძინა და რომში წასულ ერიქსონსაც უმალ მოუძებნა შემცვლელი: „ინდეპენდიენტედან" დიდი არგენტინელი სეზარ ლუის მენოტი მიიწვია. 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელმა ატლანტიკის ოკეანის გადალახვა ეულად არ ისურვა — თან „ინდეპენდიენტეს" ახალგაზრდა ნახევარმცველი ანხელ მორალესი, მეტსახელად „მატუტე" იახლა და გუნდმაც იტალიაში ჩასვლისთანავე მას ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „სამპდორიამ" „ნაპოლის" ფრანგი ნახევარმცველი ალან ბოღოსიანიც მოინდომა, თუმცა რა გამოვა ამ საქმიდან, მომავალში ვნახავთ.

დანარჩენ კლუბებში მოვლენები შედარებით ნელა ვითარდება. დაირხა ჭორები, რომ სილვიო ბერლუსკონი მადრიდის „რეალიდან" ფაბიო კაპელოს დაბრუნებას აპირებს, „რომამ" კი ივან დე ლა პენიას დაადგა თვალი და კატალონიელებს პატარა ჯადოქარში 13 მილიონ 700 ათასი შესთავაზა. იგი „ლაციომ" და „მილანმაც" ისურვეს. ამ უკანასკნელმა კი გვარდიოლაზეც ჩამოუგდო სიტყვა „ბარსას".

და ბოლოს, კიდევ ერთი ინფორმაციაც: სერია A-ში დასარჩენად „კალიარი" და „პიაჩენცა" სამკვდრო-სასიცოცხლოდ 15 ივნისს ნეაპოლში შეებმებიან ერთმანეთს.

*ერთიც, მავანი მკითხველის კითხვის პასუხად: დინო და რობერტო ბაჯოები ძმები კი არა, უბრალოდ მოგვარეები არიან.*

მართალია, ლოთარ მათეუსს აღარც ნაკრებში იწვევენ, ოჯახიც დაინგრა და ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მძიმედაც დაშავდა, იგი მაინც ყურადღების ცენტრშია და მასთან სასაუბროდ რამდენიმე კვირით ადრე უნდა დაიჭირო თადარიგი. „შპორტ ბილდის" კორესპონდენტი [illegible] მოიქცა, მაგრამ ფეხბურთელი დათქმულ დროსა და ადგილზე არ [illegible] დდა. მან თურმე რეგენსბურგში საკონტროლო შეხვედრისას [illegible] დაიზიანა და საქმე შეიქნა. სწორედ ამ ტრავმამ გამოაკლო ლოთარი [illegible] „შტუტგარტის" მატჩს, რომელიც ბავარიელთა გამარჯვებით და მათი [illegible] ონებით დასრულდა.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგამ თავისი მაინც გაიტანა — ოთხდღიანი ლოდინის შემდეგ მათეუსი რესტორან „ბოგერჰაუსერ ჰოუფში" გამოიჭირა და ინტერვიუზეც დაიყოლია.

# მათეუსი: ცხოვრებაში ბევრი რამ შემეშლია




**— კომიკურად ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენ, 36 წლის კაცს, უფრო მეტი სირბილი გიწევთ, ვიდრე ახალგაზრდებს?**

— რამდენიმე დღეში ქირურგები ფეხებს გამიჭრიან, კუნთებში იფათურებენ და კვლავ გაკერავენ. ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა სიხარულია, რომ სამი უმძიმესი ტრავმის შემდეგ კვლავ სათამაშოდ ემზადები.

**— თქვენი კაპიტნობიდან გადასაყენებლად „ბაიერნში" მოთამაშე ეროვნული ნაკრების წევრებმა ჯანყი მოაწყვეს.**

— მათ მცდელობა საპნის ბუშტივით გასკდა. ისინი დამნაშავეს ეძებენ და ჯოხის ჩემზე გადატეხვა განიზრახეს, მე კი სავსებით უდანაშაულო ვიყავი.

**— მიუხედავად ამისა, ზოგი ბრალდება სამართლიანად ხომ არ გეჩვენათ?**

— ის, რომ თამაშის დროს თანაგუნდელებთან არცთუ კორექტულად ვსაუბრობ, მართალია. ეს ბევრს სწყინს. მაგრამ, განა მოედანზე ისეთივე ურთიერთობა გექნება კაცთან, როგორც ოპერაში?

**— რა სიტყვებს ან გამოთქმებს ხმარობთ?**

— მათი დაბეჭდვა ნამდვილად არ შეიძლება, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ადრე უფრო მეტს ილანძღებოდნენ. თუ ერთმანეთს სულ ეფერეთ და ესიყვარულეთ, წარმატებას ვერ მიაღწევთ. ისეთი წაკინკლავება, ჩემსა და რიციტელის შორის რომ მოხდა, სოფლის გუნდებშიც ხდება. მე და რიცი ვუგებთ ერთმანეთს, ჩვენში, ორივეში სიცოცხლე ჩქეფს.

**— უფრო დიპლომატიურად მოქცევა ხომ არ გმართებდათ?**

— მე ყოველთვის ვცდილობდი, არ მოვქცეულიყავი ასე. 1990 წელს მილანის „ინტერში" ჩემი გამქონდა. სამწუხაროდ, ერთხელ, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასე არ გავისარჯე. მეგონა, იქ ინტელიგენტი, გამგები ადამიანები იყვნენ შეკრებილნი, ყველა კი თურმე თავის თავზე ზრუნავდა. ბერტი ფოგტსი ისევე განყენებულად იქცეოდა, როგორც ბეკენბაუერი 1986 წლის ჩემპიონატზე. მე ფოგტსისთვის უნდა მერჩია, ორი ფეხბურთელი ნაკრებიდან გაეძევებინა, მაგრამ ეს არ გავაკეთე, რადგან ადამიანების მჯერა და მათი გამოსწორების იმედი მქონდა.

**— უკაცრავად, მაგრამ ისე გამოდის, თითქოს ღორივით უნდა მოიქცე.**

— უცოდველი კრავი არა ვარ. ბეკენბაუერმა, რუმენიგემ და ჰიონესმა კარგად უწყიან, რა ანჩხლი და ჭირვეული ხასიათი მაქვს. მაგრამ მათ ისიც იციან, რომ უსამართლოდ არავის ვაწყენინებ, როგორც შოლისა და ბასლერის შემთხვევაში მაბრალებდნენ. მე კაპიტნის ძალაუფლება უნდა გამოვიყენო, სანამ ტრაპატონი გადამწყვეტ სიტყვას იტყვის.

**— თქვენ კაპიტანი ხართ. მომდევნო სეზონში ამ „თანამდებობაზე" არჩევნები ხომ არ გაიმართება?**

— თუკი გუნდის სურვილი იქნება, მათ შეუძლიათ გადამირჩიონ, მაგრამ ამით ჩემი გავლენა არ შესუსტდება.

**— სეზონის დასაწყისში გადაწყდა, რომ ფეხბურთელები თამაშებზე გაკრეჭილ-გაპარსულები უნდა გამოსულიყვნენ. შეძელით ამის შესრულება?**

— ასეთი რამ იტალიაში ოთხი-ხუთი წლის წინ შემოიღეს, მაგრამ პრაქტიკამ ამის უსაფუძვლობა დაგვანახა: ისეთი კარგი ფეხბურთელები, როგორებიც მალდინი და ლენტინი არიან, მუდამ გრძელი თმებით თამაშობდნენ.

**— თქვენ სამი შვილი გყავთ, ერთ მეუღლეს გაეყარეთ, მეორე, ლოლიტა შვეიცარიაში ცხოვრობს. არ განიცდით ოჯახური პრობლემების სიმძიმეს?**

— ცხოვრებაში ბევრი რამ შემეშლია, მაგრამ ისეთი დიდი შეცდომა, როგორიც ოჯახის დანგრევაა, არ უნდა მომსვლოდა.

**— რამდენიმე წლის წინ თქვით — სარკეში რომ ვიყურები, ვხვდები, რა მალე გადის წლებიო...**

— ოთხი წელია, ერთსა და იმავე ადამიანებს ვუყურებ და მათზე უფრო მეტად არ დავბერებულვარ. ნაოჭები არ გამჩენია, არც თმები მცვივა და ჭაღარაც არ გამომრევია.

**— გაუმჟღავნეთ ჩვენს მკითხველს თქვენი ახალგაზრდობის საიდუმლო.**

— ყველა პრობლემის მიუხედავად, ჩემეული ცხოვრების წირი მაქვს. მარცხის შემდეგ არავის ზურგსუკან არ ვიმალები. მიყვარს გართობა და მეგობრებთან ერთად ქეიფი, თუმცა წარმატების მერე გამთენიამდე არასოდეს მიქეიფია. როცა ლოლიტა დამშორდა და ჩემი შვილის, ლორისის ტიტინი აღარ მესმოდა, მეგონა, მეფე ლუდვიგ მეორესავით შტარნბერგერის ტბაში თავს დავიხრჩობდი, მაგრამ შვება ჩემს საქმიანობაში ვპოვე.

**— პრობლემები ხომ არ შეგექმნებათ, როცა ფეხბურთს თავს დაანებებთ?**

— ცხოვრება ცვალებადია, მუდმივი ხომ არაფერია. ეს მე უკვე გავითავისე. ვეცდები, ჩემი ნიჭი სხვა საქმეში გამოვავლინო.

**— შეძლებს სხვა რომელიმე გერმანელი ფეხბურთელი ეროვნულ გუნდში თქვენზე მეტი შეხვედრის ჩატარებას?**

— თუ იურგენ კლინსმანი ან იურგენ კოლერი 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ, ისინი ჩემს 122-თამაშიან რეკორდს მოხსნიან.

**— თქვენი ბოლო ბრძოლა მინდორზე როგორი წარმოგიდგენიათ?**

— მსურს, ჩემპიონთა თასი მოვიპოვო, ეს ჯილდო ჯერჯერობით მაკლია.

**— მე ბოლო მატჩი არ მიგულისხმია, თქვენი ბოლო ორთაბრძოლა მქონდა მხედველობაში.**

— ვინმე უკნიდან მომცელავს, მე ვეცემი, მაგრამ კვლავ ფეხზე ვდგები... ჩემს ცხოვრებაში ასე ხშირად მომხდარა.

**თარგმნა ერეკლე ქიქილაშვილმა**

# სამარანჩმა მოგვიბოდიშა



სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (AIPS) მე-60 კონგრესის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, AIPS-ის კოორდინატორი *ელგუჯა ბერიშვილი.*

— ეს იყო საარჩევნო კონგრესი და სწორედ ამის გამო — საგანგებო მნიშვნელობისა. AIPS-ის წესდებით, ხელმძღვანელ პირთა და ორგანოთა არჩევნები ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და განსაკუთრებული ვნებათაღელვით გამოირჩევა. ასე იყო სტამბოლში, 1993 წელს, როცა პრეზიდენტის არჩევნებში პირველად გაიმარჯვა თოგაი ბაიათლიმ. ასე იყო ახლაც, ოვიედოში, სადაც კვლავ ბაიათლიმ იმარჯვა და პოსტი კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნა. პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენება კონკრეტული და საქმიანი იყო. ფაქტია, რომ ბაიათლის „ზეობის" ხანაში კიდევ უფრო გაიზარდა AIPS-ის ავტორიტეტი, გამოიკვეთა მისი ადგილი საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში, სოკი და სხვა დიდი ორგანიზაციები ანგარიშს უწევენ AIPS-ის აზრს და წინადადებებს. სხვათა შორის, ოვიედოში სამარანჩს ელოდებოდნენ, მაგრამ იმ დღეებში შეუძლოდ გამხდარიყო და კონგრესის დელეგატებს წერილით შემოგვეხმიანა: ვიცი, რომ ატლანტაში ცუდი სამუშაო პირობები გქონდათ და იქაური პრესცენტრის მუშაობით უკმაყოფილონი დარჩით, მაგრამ, გპირდებით, ნაგანოსა და სიდნეიში ყველაფერი წესრიგში იქნება. იგივე დაადასტურეს კონგრესზე სიტყვით გამოსულმა ზამთრისა და ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტების წარმომადგენლებმა. სოლიდური დელეგაციებით ჩამოვიდნენ და მრავალფეროვანი ნაბეჭდი და ვიდეომასალა წარმოადგინეს 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატებმა. ისეთი პირი უჩანს, რომ მთავარი ბრძოლა ათენსა და რომს შორის გაიმართება. ყოველ შემთხვევაში, ამ აზრისანი იყვნენ კონგრესის დელეგატები, რომელთა სიმპათიები, საბოლოოდ, ათენისკენ გადაიხარა.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ფიფას საკომუნიკაციო სამსახურის დირექტორის კეიტ კუპერისა და ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ალან ლებლანის გამოსვლებმა. საფეხბურთო თემამ ორი საათი და სხდომებს შორის შესვენებისთვის განკუთვნილი დროც „შეიწირა". მომხსენებლებმა მაინც ვერ დააკმაყოფილეს ჟურნალისტთა ცნობისმოყვარეობა და სალამოს სახელდახელო პრესკონფერენციაც გაიმართა. როგორც გვაცნობეს, აკრედიტაციას მიიღებს 2400 ჟურნალისტი (იგულისხმება მწერალი ჟურნალისტი), მათ შორის — 750 ფოტორეპორტიორი. AIPS-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქვოტებს განსაზღვრავენ ფიფა და საორგანიზაციო კომიტეტი, საკრედიტაციო ბარათებს ნოემბერში დაუგზავნიან ეროვნულ ფედერაციებს. გაკონტროლდება თითოეული ბარათი, რათა აკრედიტებულთა შორის ვერ მოხვდნენ „სტომატოლოგები და სანტექნიკოსები" (თურმე, ასეთი შემთხვევებიც ყოფილა). პარიზში იმუშავებს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მასმედიის საერთაშორისო ცენტრი, ანუ მთავარი პრესცენტრი, რომელიც წარმართავს დანარჩენ პრესცენტრთა მუშაობას. თითოეულ სტადიონზე ჟურნალისტთათვის გამოიყოფა 500 დასაჯდომი ადგილი, ნახევარფინალებზე — 1000 ადგილი, გახსნის მატჩზე და ფინალზე კი — 1500. აკრედიტებული ჟურნალისტები შეუფერხებლად შევლენ სპეციალურ ზონებში, რათა მატჩის დამთავრებისთანავე გაესაუბრონ ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და მათთვის საინტერესო სხვა პირებს... „დაგვერწმუნეთ, ეს იქნება საუკეთესო ჩემპიონატი" — ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა ალან ლებლანმა და მას კუპერიც დაეთანხმა.

სხვათა შორის, გაისად, 2 ივლისს, ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის პერიოდში, სწორედ პარიზში გაიმართება სპორტული ჟურნალისტის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი მთავარი ცერემონიალი. AIPS-ის პირველი დამფუძნებელი კონგრესიც ხომ პარიზში გაიმართა (1924 წლის 1-3 ივლისი).

„AIPS-ის ისტორია" — ასე ჰქვია სქელტანიან წიგნს, რომელიც ესპანეთში გამოიცა და რომლის პრეზენტაციაც ოვიედოში მოეწყო. დელეგატთა წინაშე წარდგნენ წიგნის ავტორი, ესპანელი ჟურნალისტი, AIPS-ის საპატიო წევრი ჟოზე მარია ლორენტე და ოვიედოს მერი გაბინო დე ლორენსო, რომელსაც დაუფინანსებია ეს გამოცემა. წიგნში თავმოყრილია AIPS-ის ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი მასალები, დოკუმენტები, ფოტოები, მონაცემები ჟურნალისტთა ეროვნულ ორგანიზაციებზე, მათ შორის — საქართველოზეც. სიტყვამ მოიტანა და, კონგრესზე ჩვენი ასოციაცია იმ ორგანიზაციათა რიგებში მოიხსენიეს, რომლებიც ასრულებენ AIPS-ის წესდების მოთხოვნებს, რეგულარულად და ქმედითად მონაწილეობენ კონგრესების მუშაობაში. ჩემთვის, როგორც დელეგატისთვის, ეს [illegible] კონგრესი იყო და [illegible], რომ ოვიედო ჩინებული მასპინძელი გამოდგა. გახსნის ცერემონიალი ოვიედოს თეატრში მოეწყო, კონგრესის დღეებში გამოდიოდა ერთჯერადი საგანგებო გაზეთი, ქალაქის მერი სულ ჩვენთან ტრიალებდა, ბოლო დღეს ესპანეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა ფრანცისკო ალვარეს-კასკოსმაც დაგვდო პატივი, მადრიდიდან საგანგებოდ ჩამოფრინდა, რათა კონგრესის დახურვის ცერემონიალზე ოცწუთიანი სიტყვა ეთქვა და დასკვნით სალამოს გაძღოლოდა.

...კონგრესის დღის წესრიგით 25 საკითხი ოთხ დღეზე იყო განაწილებული. ყველაზე მეტი დრო — თითქმის ერთი დღე არჩევნებმა წაიღო. ცალკე გაიმართა კონტინენტურ და სპეციალურ კომისიათა სხდომები, AIPS-ის ახალ წევრებად მიიღეს აზერბაიჯანი, ანგოლა და ბოლივია, მომავალი, 61-ე კონგრესის მასპინძლად დაამტკიცეს მონტევიდეო, სპეციალური პრიზები გადასცეს AIPS-ის ვერსიით 1996 წლის საუკეთესო სპორტსმენებს და გუნდებს. წლის ათლეტებად დასახელდნენ ამერიკელი მაიკლ ჯონსონი და ფრანგი მარი-ჟოზე პერეკი, საუკეთესო გუნდად — ნიგერიის საფეხბურთო ნაკრები.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია CROCO

| | | | |
|---|---|---|---|
| **ტურნირი საფრანგეთში. II ტური** | | | |
| 7 ივნისი | | | |
| საფრანგეთი — ინგლისი | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| იტალია — ბრაზილია | 2,7 | 2,7 | 2,2 |
| **იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXVII ტური** | | | |
| 8 ივნისი | | | |
| დი სანგრო — პესკარა | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| ემპოლი — ჩეზენა | 1,35 | 3,8 | 5,3 |
| ფოჯა — ბარი | 4,2 | 3,8 | 1,45 |
| ლეჩე — ტორინო | 1,5 | 3,3 | 4,4 |
| ლუკეზე — კრემონეზე | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,2 |
| პადოვა — კოზენცა | 1,7 | 3,1 | 3,6 |
| პალერმო — კიევო | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| რავენა — ჯენოა | 3,8 | 3,3 | 1,6 |
| რეჯინა — ბრეშია | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ვენეცია — სალერნიტანა | 1,9 | 2,7 | 3,3 |
| **შვეიცარიის თასის ფინალი** | | | |
| 8 ივნისი | | | |
| სიონი — ლუცერნი | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| **მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები** | | | |
| 7 ივნისი | | | |
| საქართველო — მოლდოვა | ანგარიში — 4,5 | | |
| ბელგია — სან მარინო | 1,01 | 7,5 | 17,0 |
| 0:5 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| მაკედონია — ისლანდია | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| პორტუგალია — ალბანეთი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:2 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| უკრაინა — გერმანია | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| ნიგერია — კენია | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ლიბერია — ნამიბია | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| 8 ივნისი | | | |
| დანია — ბოსნია | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ფინეთი — აზერბაიჯანი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| უნგრეთი — ნორვეგია | 3,3 | 2,7 | 1,9 |
| ესტონეთი — შვედეთი | 9,0 | 5,6 | 1,1 |
| ლატვია — ავსტრია | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ბელარუსი — შოტლანდია | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| რუსეთი — ისრაელი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ბულგარეთი — ლუქსემბურგი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:3 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| იუგოსლავია — სლოვაკეთი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ფარერები — მალტა | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| ესპანეთი — ჩეხეთი | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| არგენტინა — პერუ | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ეკვადორი — ჩილე | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ურუგვაი — კოლუმბია | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ვენესუელა — ბოლივია | 5,6 | 4,0 | 1,3 |
| სალვადორი — მექსიკა | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| გვინეა — ბურკინა ფასო | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| ეგვიპტე — ტუნისი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| კონგო — ზაირი | 1,2 | 4,4 | 7,5 |
| სამხრეთ აფრიკა — ზამბია | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ანგოლა — კამერუნი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ტოგო — ზიმბაბვე | 2,7 | 2,7 | 2,2 |
| გაბონი — სიერა ლეონე | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| მაროკო — განა | 1,6 | 3,0 | 4,4 |

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა. თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე; ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „იმერეთის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.**

მძლეოსნობა

# ქართველი მძლეოსნები მსოფლიოში ყველაზე პატიოსნები არიან



**რუსლან რუსიძეს ათენში წასვლა სურს**

ბოლო წლებში ქართული მძლეოსნობა ისე ჩამორჩა ამ სახეობაში „ამინდის შემქმნელ" ქვეყნებს, კაცმა არ იცის, როდის შეძლებენ ჩვენი მძლეოსნები მსოფლიოს მასშტაბის თუნდაც საშუალო შედეგებთან მიახლოებას, მაგრამ, ერთი მხრივ, ჩვენი მძლეოსნობის ფედერაციის თავკაცთა ენთუზიაზმი, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მცირე, მაგრამ მაინც ყურადღება სპორტის დედოფლისადმი, იმედს იძლევა, რომ ჩვენსა და დანარჩენთა შორის არსებული უფსკრულის ამოვსება შეუძლებელი არ არის, თუმცა მას წლები სჭირდება.

საქართველოს საუკეთესო სპრინტერს რუსლან რუსიძეს ჯერ კიდევ მარტში პარიზის ჭერქვეშ მსოფლიოს ჩემპიონატის ლიცენზიის მოპოვების შანსი ჰქონდა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. თუმცა, გული არ გაიტეხა და ახლა ათენის ცისქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად ემზადება. რუსლანი ბათუმელია, ამიტომ ხან აჭარაშია, ხან რუსეთში — ტურნირებში მონაწილეობს. თბილისში მოვიხელთე თუ არა, საუბარი ძველი ამბების გახსენებით დავიწყეთ.

**— რუსლან, შანსი გქონდათ, მარტში პარიზში წასულიყავით, ვოლგოგრადის სალიცენზიო ტურნირისთვის საგანგებოდ მოსკოვშიც კი მოემზადეთ, მაგრამ მაინც ცუდათ ირბინეთ და ულიცენზიოდ დარჩით. რატომ?**

— მოსკოვში მე და ჩემი მწვრთნელი არჩილ კონსტანტინოვი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხარჯებით წავედით. იქ ბიძაჩემი, რუსეთის მოქალაქე ბიზნესმენი ალექსანდრე მამულოვიც გვარიანად შემეწია და მოსამზადებლად ნორმალური პირობები მქონდა. მაგრამ ვოლგოგრადში სტარტზე მეტად დაძაბული გავედი, რადგან ვიცოდი, ეს იყო ერთადერთი შანსი პარიზში წასასვლელად, სხვა აღარ მექნებოდა. თანაც, სტარტზე დადგომისას ჩემს გვერდით ვიღაც რუსი სპრინტერი წაბორძიკდა, მეც მას მივხედე, ყურადღება მოვადუნე და ამ დროს ისროლეს სასტარტო პისტოლეტი. ეს წამიერი მოდუნება ძვირად დამიჯდა და საბოლოოდ შედეგზეც იმოქმედა — ულიცენზიოდ დავრჩი.

**— მაგრამ თბილისში დაბრუნებისთანავე 60 მეტრი 6,5 წამში ირბინეთ და საქართველოს რეკორდიც დაამყარეთ. ორიოდე კვირაში კი კვლავ გაიმეორეთ ეს შედეგი ისევ თბილისში გამართულ საშინაო შეჯიბრებაში. ახლახან კი ამიერკავკასიის საუკეთესო სპრინტერებიც დაამარცხეთ. ცოტა უცნაური ხომ არ არის — როცა ჰაერივით გჭირდებოდათ, მაშინ ვერ მიაღწიეთ ამ შედეგს, როცა ბევრს არაფერს გაძლევდათ, ეს უპრობლემოდ შძელით.**

— თბილისში დაბრუნებულს ფსიქოლოგიური სტრესი მომეხსნა. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ აქ კარგად ვირბინე. არადა, ვოლგოგრადში 60 მეტრი რომ 6,5 წამში გამერბინა, ლიცენზია ჯიბეში მედებოდა.

**— ვთქვათ, ვოლგოგრადშიც 60 მეტრი თბილისში ნარბენ დროში დაგეფარათ, ლიცენზიის გარდა რას გაძლევდათ ეს შედეგი, ამით რამდენად მიუახლოვდებოდით მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანთა შედეგებს?**

— ხელის წამზომზე ნაჩვენები 6,5 წამი ელექტროწამზომზე 6,70-6,75-ის ტოლფასია. შეგახსენებთ, რომ წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ბერძენმა პაპადიასმა მოიგო — 60 მეტრი 6,50 წამში ირბინა. ასე რომ, ჩემი შედეგი არცთუ ხელწამოსაკრავია. მითუმეტეს, სამომავლოდ წარმატების იმედს მაძლევს.

**— ჩვენში ბევრი, სპორტის ქომაგი თუ სპეციალისტი, ამტკიცებს, მძლეოსნობაში ფულის ჩადება სისულელეა, რადგან საქართველოში მძლეოსნობა არასდროს ყოფილა სპორტის წამყვანი სახეობა, დღეს ჩვენი მძლეოსნები მსოფლიოს მოწინავე ათლეტებთან ახლოსაც ვერ მივლენო. ჩემი მხრივ დავძენ, რომ ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინას მიერ 1952 წელს დამყარებული საქართველოს რეკორდი სიგრძეზე ხტომაში ჯერაც რეკორდობს...**

— ადრე ჩვენში მძლეოსანი ოსტატობას რომ მიაღწევდა, მაშინვე მოსკოვში გამოიძახებდნენ და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაკრებებში ავარჯიშებდნენ. საამისოდ კი მაშინ იდეალური პირობები იყო. თანაც, მაშინ საბჭოთა სპორტსმენების გასამარჯვებლად სპორტის თავკაცები ყველაფერს კადრულობდნენ და მათ შორის არც დოპინგის ხმარებას ერიდებოდნენ. ამიტომაც შედეგებიც შესაბამისი ჰქონდათ.

**— დოპინგი ახსენეთ. არ მეგულება სპორტსმენი, ჟურნალისტს გამოუტყდეს, დოპინგს ვიღებდიო.**

— ეჭვი რომ არ შეგეპაროთ, გეტყვით, რომ ანაბოლიკები და სხვა აკრძალული პრეპარატები რომც მქონდეს, ვერ გამოვიყენებ. ექიმის რეკომენდაციის გარეშე მათი მიღება ჯანმრთელობისთვის მავნებელია, ხშირად სასიკვდილოც. საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებს კი ექიმი არა ჰყავს, ასე რომ, ნაკრების არც ერთი წევრი დოპინგს არ იღებს. ქართველი მძლეოსნები, ჩვენივე გაჭირვების წყალობით, მსოფლიოში ყველაზე პატიოსნები ვართ.

**— ადრე საბერძნეთში ვარჯიშობდით, 6 თვე დაჰყავით ბერძნულ კლუბში. არ გქონდათ იქ დარჩენის შანსი?**

— საბერძნეთში სალონიკის კლუბ „ტრიტონში" გამოვდიოდი. უზრუნველყოფილი ვიყავი კვებით, ფორმით და უფასო სამედიცინო მომსახურებით. იქ უჩინო და უტიტულო სპორტსმენს ხელფასს არ უხდიან. 6 თვის შემდეგ კი ბინაც შემომთავაზეს და ხელფასიც, კონტრაქტიც გამზადებული ჰქონდათ „ტრიტონის" თავკაცებს, მაგრამ ვერ ვენდე — ერთი და ორი ქართველი სპორტსმენი მოუტყუებიათ იქაური სპორტის საქმოსნებს?

**— სხვა კლუბის მოძებნა არ გიცდიათ?**

— უცხოეთში თუ კარგად არ გიცნობენ, კონტრაქტის დადებაზე არ დაგყაბულდებიან. ცნობით კი იმ მძლეოსნებს იცნობენ, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ ტურნირებში. წარმოიდგინეთ, ყოველწლიურად 50-მდე ტურნირი და ჩემპიონატი იმართება, მძლეოსანთა უმრავლესობა, სულ ცოტა, 30 შეჯიბრებაში ასპარეზობს, ზოგი ორმოცდაათშივე. მე კი წელიწადში 2-3 ტურნირზე თუ ვირბენ. ასე ნამეილად ვერ მოვაწონებ უცხოელებს თავს.

**— ფაქტია, დღესდღეობით რუსლან რუსიძე საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსანია. ანაზღაურება რამდენი გაქვთ? შეესაბამება თუ არა თქვენს სპორტულ მიღწევებს თქვენივე ხელფასი?**

— განა საქართველოში რომელიმე სპორტსმენის ხელფასი მისი მიღწევების ტოლფასია? არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ მძლეოსნებს მეტად მცირე თანხას გვიხდიან: 65 ლარს ოლიმპიური კომიტეტი მაძლევს, 100 ლარს — აჭარის სპორტკომიტეტი. თავად განსაჯეთ, გასწვდება თუ არა ეს თანხა სპორტსმენის დღევანდელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

**— ასლან აბაშიძე აჭარელ სპორტსმენებს არაერთგზის დახმარებია. თქვენ არ მიგიმართავთ თხოვნით, დაგხმარებოდათ?**

— მეც შევხვდი ბატონ ასლანს, დახმარებაც აღმითქვა. მჯერა, ასლან აბაშიძეც შემეწევა.

**— ათენის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რას აპირებთ? ღმერთმა ქნას, საათენოდ მაინც მოიპოვოთ ლიცენზია.**

— რა თქმა უნდა, თავს არ დავზოგავ. ახლაც გამალებით ვემზადები. იმედი მაქვს, ათენში მაინც მოვხვდები. მიუხედავად უამრავი პრობლემისა, რომლებიც ათენისაკენ მიმავალ გზაზე მელობება, ყველაფერს ვიღონებ იქ სიასპარეზოდ.

**ლევან ჯავახიშვილი**

აკრობატიკა

# 7 წლის შემდეგ – ჯოჯოხეთში!

დუხჭირმა ცხოვრებამ ქართველ სპორტსმენთა გამარჯვებები ტკბილ მოგონებად დაგვიტოვა და თუ ადრე „ჩემპიონთა ქვეყნად“ ვითვლებოდით, ახლა იმავე ჩემპიონატებზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მოგებაც წარმატებაა ჩვენი სპორტსმენებისთვის ჩვენებურ აკრობატთა ბოლო საერთაშორისო გამარჯვებაც საბჭოთა კავშირს უკავშირდება. 1988 წელს ბელგიაში ინგა გიორგობიანმა, ნატაშა ანისიმოვამ და სვეტლანა მაკარიჩევამ ერთდროულად ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები მოიგეს, ორი წლის შემდეგ კი გერმანიამ უმასპინძლა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებს — მაკარიჩევას ადგილი აუგსბურგში ირმა ოვოიანმა დაიკავა. გიორგობიანმა, ანისიმოვამ და ოვოიანმა ეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებიც მოიგეს. ამის შემდეგ ეს სამეულიც დაიშალა — გოგონები დაოჯახდნენ და სხვადასხვა საქმეს მოჰკიდეს ხელი. მაგრამ, ახლახან ინგა გიორგობიანმა და ნატაშა ანისიმოვამ გადაწყვიტეს, სპორტს დაბრუნებოდნენ. ამასწინათ, ქართული ტანვარჯიშის 100 წლის საიუბილეო საღამოზე კი გოგონებმა 7-წლიანი შესვენების შემდეგ პირველი ვარჯიშიც შეასრულეს — მაყურებელს ის პროგრამა უჩვენეს, რომლითაც ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. ოღონდ, ოვოიანის ნაცვლად სამეულში 15 წლის ნიჭიერი აკრობატი, თბილისელი დარინა ქენქაძეა. „ინგა და ნატაშა დიდი სპორტსმენები არიან. გამიხარდა, რომ სპორტს დაუბრუნდნენ, ვეცდები, პრობლემები არ შევუქმნა, მათი გამოცდილების წყალობით უკვე შევეწყვე გოგონებს და მალე ჩვენი სამეული ყველასთვის ანგარიშგასაწევი იქნება“ — დარინა ქენქაძეს ოპტიმიზმით არც გიორგობიანი და ანისიმოვა ჩამოუვარდებიან, თუმცა, მათთან საუბარი ცოტა შორიდან დავიწყეთ.

**— ინგა, რას საქმიანობდით შენ და ნატაშა სპორტიდან წასვლის შემდეგ?**

— მეც და ნატაშაც დავოჯახდით, ნატაშას ორი გოგო ჰყავს, მე ერთი ვაჟი. ამიტომ, ძირითადად სახლში ვისხედით და ოჯახს ვუვლიდით. ერთხანს ჟურნალისტობაც ვცადე, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

**— სპორტში დაბრუნება რამ გადაგაწყვეტინათ?**

— დარინა ქენქაძის მწვრთნელი ნინო ბერიანიძე შეგვეხმიანა — დარინა კარგ ფორმაშია და თუ ივარჯიშებთ, აუცილებლად რაღაცას მიაღწევთო. ადრე დარინა ნატო ცაგარელთან და ნანა პატარიძესთან ერთად გამოდიოდა, ცაგარელი ახლა თურქეთშია, პატარიძე გერმანიაში, სამეული დაიშალა და დარინა მარტო დარჩა. ნიჭიერი გოგონაა, ამიტომ მე და ნატაშამ გადავწყვიტეთ, ხელი შეგვეწყო მისთვის და ვარჯიში დავიწყეთ.

**— გამოდის, რომ დარინა ქენქაძის ხათრით დაუბრუნდით აკრობატიკას შენ და ნატაშა...**

— დარინას კენტად დარჩენამ თავისი როლი ითამაშა ჩვენი ამ გადაწყვეტილების მიღებაში, მაგრამ ჩვენ ჩვენი წილი სპორტული ჟინიც გვამოძრავებს, ვგრძნობთ, რომ შეგვიძლია წარმატების მიღწევა და კიდეც დავამტკიცებთ ამას.

**— ბოლო შვიდ წელიწადში აკრობატიკა საკმაოდ განვითარდა, სამეჯიბრო წესებიც შეიცვალა, ახალი თაობაც მოვიდა. როგორ შეეგუებით ამდენ სიახლეს? რა შანსი გექნებათ მსოფლიოს უძლიერეს აკრობატებთან ჭიდილში?**

— წესები კი შეიცვალა, მაგრამ უმნიშვნელოდ, ახალ წესებთან შეგუება არ გაგვიჭირდება. აკრობატიკა კი განვითარდა და წინ წავიდა, მაგრამ მე და ნატაშას დაწევა არ გაგვიჭირდება. ამასწინათ 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვიდეოჩანაწერი ვნახე. ჩვენი თაობის არცერთი აკრობატი აღარ შემორჩენილა სარბიელს. დარწმუნებული ვარ, მე, ნატაშა და დარინა ღირსეულ წინააღმდეგობას გავუწევთ ახალგაზრდა უცხოელ აკრობატებს.

**— იქნებ შენი და ნატაშას ასაკიც გამიმხილო?**

— ორივე 27 წლისანი ვართ, დარინა 15 წლისაა. ამ 12-წლიან ვაკუუმს ჩვენი გამოცდილების ხარჯზე შევავსებთ.

**— ადრე თქვენი სამეულის მწვრთნელი ვლადიმერ გურგენიძე იყო. თუკი სპორტში დაბრუნებას აპირებდით, არ სჯობდა, გურგენიძისთვის მიგემართათ? მან ხომ შენი და ნატაშას შესაძლებლობები ყველაზე უკეთ იცის. ორჯერ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებიც ხომ მის ხელში გახდით?**

— ვოვა მასწავლებელი ამჟამად მოსკოვშია, იქ მუშაობს მწვრთნელად. არც იცის, რომ მე და ნატაშა დავბრუნდით. ამ დღეებში უნდა დავურეკოთ და ვუთხრათ. მიუხედავად იმისა, რომ ნინო ბერიანიძე ბრწყინვალე მწვრთნელია, ვოვა მასწავლებლის რჩევა ნამდვილად სასიკეთოდ წაგვადგება. თან სათხოვარიც გვაქვს: იქნებ რუსეთში გაგვიხერხოს შეკრება, მარტო თბილისურ პირობებში მომზადებით მსოფლიოს ჩემპიონატის მედლებს ვერ შევწვდებით.

**— შვიდწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდით სპორტში. მაშინ, როცა ვარჯიშობდით და ასპარეზობდით, სპორტსმენებს ყველა პირობა ჰქონდათ მოსამზადებლად, სახელმწიფოც მატერიალურად ეხმარებოდა მათ. მოკლედ, ნამდვილად არ გიჭირდათ. ახლა კი სპორტსმენებს სასაცილოდ მცირე პრემია — სტიპენდიები აქვთ და ბევრს ვარჯიშის შემდეგ წყლის გადავლებაც ენატრება. გამოდის, რომ სამოთხიდან შვიდი წლის შემდეგ ჯოჯოხეთში მოხვდით შენ და ნატაშა. არ გაგიჭირდათ ამ არანორმალურ პირობებთან შეგუება?**

— მე და ნატაშამ ვიცით, რას ვაკეთებთ. სპორტიდან კი ვიყავით წასულნი, მაგრამ თბილისში ხომ ვცხოვრობდით, აკრობატთა შეჯიბრებებს და ვარჯიშს ვესწრებოდით, ვხედავდით, რა პირობებში მუშაობდნენ სპორტსმენები, ამიტომ, რაიმე მემცხეთა და გამიკვირდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. ნატაშაც ასე ფიქრობს. ორივემ ვიცოდით, სადაც მოვდიოდით.

**— ზოგჯერ ახალგაზრდა სპორტსმენებსაც კი ბოლომდე არ ჰყოფნით ენთუზიაზმი და სპორტს თავს ანებებენ ან უცხოეთში გარბიან. თქვენ, უკვე ტიტულოვანი და კარგ ცხოვრებაგამოვლილი სპორტსმენები, ენთუზიაზმის ხარჯზე როდემდე გაძლებთ? არც ის არის გამორიცხული, უცხოელებიც შეგეხმიანონ მიწვევებით.**

— ჯერ ერთი თვეც არ არის, რაც ვარჯიში დავიწყეთ, ამიტომ ავანსებს არ ვითხოვთ. როცა შედეგს ვაჩვენებთ — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წარმატებით ვიასპარეზებთ, მაშინ რაღაცას მოვითხოვთ. ენთუზიაზმით, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ გავძლებთ. დიდ ტურნირებამდე კი ტანვარჯიშის ფედერაცია და სპორტის თავკაცები, ალბათ, რაღაც მინიმუმით დაგვეხმარებიან, რათა სათანადოდ მოვემზადოთ ჩემპიონატებისთვის. უცხოეთში წასვლაც არ არის გამორიცხული, მაგრამ ამაზე ჯერ არ გვიფიქრია. ვიდრე ვოვა გურგენიძე არ შეგვხედავს და არ შეგვაფასებს, ალბათ, არანაირ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ.

**— დიდ ტურნირებზე ისევ ძველი პროგრამით აპირებთ გამოსვლას. ხომ არ მოძველდა?**

— არა, არ მოძველებულა. ცოტა შევცვალეთ, გადავახალისეთ, დარინას შესაძლებლობებიც გავითვალისწინეთ, მაგრამ მთავარი და ძირითადი დავტოვეთ. ამ პროგრამით, ეჭვი არ გვეპარება, მსოფლიოს უძლიერეს სამეულებს დიდ პრობლემას შევუქმნით.

**— ადრე თქვენს სამეულში ჯერ სვეტლანა მაკარიჩევა იდგა, შემდეგ ინგა ოვოიანი. სად არიან ეს გოგონები, რომელიმე ხომ არ აპირებს სპორტში დაბრუნებას?**

— მაკარიჩევა ბალტიისპირელია და ახლა ტალინში ცხოვრობს. ირმა კი თბილისშია. ორივე დაოჯახდა. სპორტში კი ვერ დაბრუნდებიან, რადგან წონაში მოიმატეს, ამიტომ სამეულს რომ სჭირდება, იმ ფორმას ვერასდროს აღიდგენენ.

ამასობაში ნატაშა ანისიმოვამ მოთელვა დაამთავრა და შემოგვიერთდა. ნატაშაც, ინგასი არ იყოს, მეტად იმედიანად არის და ეჭვი არ ეპარება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლებისთვის იბრძოლებენ. დარინა ქენქაძისთვის ხომ მისწრებაა გამოცდილ პარტნიორებთან ვარჯიში და ასპარეზობა. გიორგობიანი და ანისიმოვა ჯერ ვერ არიან ძველებურ ფორმაში, მაგრამ მონდომება და მონდომება არ აკლიათ, თავგამეტებით ვარჯიშობენ და თუ ხელშეწყობაც ექნებათ, მათი ქადილი სიტყვად არ დარჩება და, ალბათ, საქმედაც იქცევა. პირველ სიხარულს გოგონები შემოდგომისთვისვე გვპირდებიან — მანჩესტერი ოქტომბერში აკრობატთა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს და ვეცდებით, ინგლისიდან ხელცარიელნი არ დავბრუნდეთო — იმედით გამომისტუმრა სამეულმა.

ჰოკეი

# ფილადელფია — უმეკარეოდ

## NHL. სტენლის თასი

### ფინალის მეორე მატჩი

### ფილადელფია 0-2 დეტროიტი

**ფილადელფია — დეტროიტი 2:4**
**შაიბები: ბრინდამორი 12 (ნიინიმა, 18), ბრინდამორი 13 (ნიინიმა, ლეკლერი, 19), — შენაჰანი 7 (2), აიზერმანი 6 (მერფი, ფეტისოვი, 10), მოლტბი 5 (კოშური, 23), შენაჰანი 8 (ლაპოინტი, ფიოდოროვი, 50)**

თუ ფილადელფია ამ სერიას წააგებს, ამაში მთავარი ბრალდებულნი „მფრინავთა“ გოლკიპერები იქნებიან. კლუბის ძირითადი მეკარის ჰექსტოლის შემცვლელი სნოუ მეორე მატჩში კოლეგასავით უნიათოდ გაისარჯა.

თუმცა პირველ პერიოდზე ეს არ ითქმის — იგი სნოუმ კარგად ჩაატარა და იმაში, რომ მე-10 წუთისთვის ანგარიში 2:0 იყო სტუმართა სასარგებლოდ, მას ბრალი არ მიუძღვოდა. წინა მატჩისგან განსხვავებით, დეტროიტმა ფილადელფიას მოუსპო ინიციატივის დაუფლების შესაძლებლობა და მეტოქის ნახევარს მიეჯაჭვა. უკვე მე-2 წუთზე დეტროიტელმა შენაჰანმა მცველებისგან ასხლეტილი შაიბა მეკარისგან შორეულ კუთხეში გაგზავნა. სტუმართა ზეწოლა ამის შემდეგაც გაგრძელდა — პირველი 13 დარტყმიდან 12 მათ განახორციელეს და მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს მასპინძლებმა ვერნონი. ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ „წითელფრთიანების“ კაპიტანმა აიზერმანმა რიცხვმრავლობაში გაორმაგა ანგარიში. კიდევ რამდენიმე წუთში შენაჰანს, ფაქტობრივად, მატჩის ბედის გადაწყვეტა შეეძლო, მაგრამ მისი სახიფათო გარღვევა სნოუმ ჩაშალა. ზედიზედ მეორე საშინაო მატჩის წაგების საფრთხემ მასპინძლები გონს მოიყვანა, თუმცა ორი გოლის გატანაში მათ დეტროიტელები დაეხმარნენ — სტუმრებმა წესი დაარღვიეს და ბრინდამორმა ორჯერ დასაჯა მეტოქე. ამით ფილადელფიელთა სნაიპერს 13 გოლი დაუგროვდა და სნაიპერთა დავაში პირველ ადგილზე მყოფ კოლორადოელ ლემიეს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ მას ორივე შემთხვევაში თასის საუკეთესო ახალბედა ნიინიმა (1 შაიბა და 12 პასი) დაეხმარა.

მოვლენათა ასეთმა განვითარებამ ფილადელფიელებს მეორე პერიოდში ძალა შემატა, მაგრამ თავისიანებს სნოუმ უმტყუნა — ყველას გასაკვირად, მან ვერ შეძლო მოლტბის (4 შაიბა ბოლო 5 მატჩში) უშორესი და საკმაოდ იოლი დარტყმის მოგერიება. საბოლოო წერტილი კვლავ შენაჰანმა დასვა და დეტროიტმა ზედიზედ მეორე მატჩის მოგებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მე-8 თასის მოპოვებისკენ. მატჩის შემდეგ ფილადელფიელთა თავკაცი მიურეი განაწყენებულიც იყო და დაბნეულიც, რადგან არ იცოდა, მორიგ მატჩში ვინ დაეყენებინა კარში.

დეტროიტელმა მერფიმ, რომელსაც თანაკლუბელთაგან ერთადერთს უკვე მია „თასის სიტკბო“ (1991-92 წლებში პიტსბურგში თამაშობდა), 97 პასი გააკეთა და თასის ისტორიაში მე-12 ადგილზე გადაინაცვლა.

თასის ყველა დროის საუკეთესო მეპასეები: უეინ გრეცკი 260, მარკ მესიე 186, პოლ კოფი 136, იარი კური 127, გლენ ანდერსონი 121, ლარი რობინსონი 116, დუგ გილმორი 115, ბრაიან ტროტიე 113, რეი ბურკი 112, დენი სავარი 109, დენის პოტვენი 108, ლარი მერფი და უან ბელიკო 97, ბობი სმიტი 96.

**სამველ ლარიბიანი**




დეტროიტის მცხოვრებთ ეჭვიც აღარ ეპარებათ თავისიანების წარმატებაში და ქალაქში მდგარ ძეგლს „დეტროიტის სული“ წითელფრთიანთა მაისური ჩამოაცვეს

ხელბურთი

# ბოლოზე დავრჩით

ბუქარესტში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 1978-1979 წლებში დაბადებულ მოთამაშეთა შორის. ტურნირში ოთხ გუნდს უნდა ესპარეზა, მაგრამ ფინეთის ნაკრებმა მოულოდნელად უარი თქვა მონაწილეობაზე, არადა, ამ გუნდის წარმომადგენლები, რუმინელებთან ერთად, ყველაზე აქტიურად უჭერდნენ მხარს ამ ტურნირის თბილისიდან ბუქარესტში გადატანას.

ქართველი ხელბურთელები ორივე მატჩში აშკარად ჩამორჩნენ მეტოქეებს — რუმინელებთან 15:27 წააგეს, შვედებთან — 18:32.

მასპინძელთა სამწუხაროდ, მათმა მეცადინეობამ, შინ გაემართათ ტურნირი, რათა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ერთიორად გაზრდოდათ, შედეგი ვერ გამოიღო. შვედეთის ძლიერმა ნაკრებმა ჩვენს გუნდს რუმინელებიც მიაყოლა — 29:23 მოუგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა. საქართველოს ნაკრები (მწვრთნელები — ჯემალ ბარამიძე და ზაზა დოლიძე) ბოლო ადგილზე დარჩა.

წყალბურთი

# ოლიმპიური პრიზიორები ჩაფლავდნენ

ათენში დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება წყალბურთში. A ჯგუფში ბოლო შეხვედრა ლიდერებს — უნგრელებსა და რუსებს შორის 3:3 დამთავრდა და პირველი ადგილი დაუმარცხებელმა უნგრელებმა მოიპოვეს.

B ჯგუფში ამერიკელებისა და ბერძნების მატჩის ძირითადი დრო ფრედ, 8:8 დამთავრდა. ამერიკელთა ლიდერმა კრის ჰამბერტმა 5 გოლი გაიტანა, ბერძნების ტასოს პაპანასტასიუმ — 3. პირველ ადგილზე გამსვლელის გასარკვევად დაინიშნა პენალტები და ამერიკელებმა 5:3 გაიმარჯვეს.

ნახევარფინალში ამერიკელებმა რუსებს მოუგეს, ბერძნებმა — უნგრელებს.

ფინალში ამერიკელებმა დამაჯერებლად — 8:5 მოუგეს ბერძნებს და მსოფლიოს თასი მოიპოვეს. ჰამბერტი ამჯერადაც საუკეთესო იყო — 3 გოლი გაიტანა.

ათენის ოლიმპიურ საცურაო აუზში გამართულ ფინალს 6 000 გულშემატკივარი დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ ატლანტის ოლიმპიადის ვერცერთი პრიზიორი (ესპანეთი, იტალია, ხორვატია) ნახევარფინალშიც ვერ მოხვდა. ვერ მიაღწია აქამდე საერთაშორისო ასპარეზზე დაბრუნებულმა იუგოსლავიამაც.

ავტორბოლა

# ნაბიჯი ისტორიაში

„უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. შესანიშნავი რბოლა იყო, ანდრეტიმ ძლიერად შემომიტია, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. რა ხანია, ამ გამარჯვებას ველი“ — განაცხადა „მილერ-200“-ის გამარჯვებულმა, კანადელმა გრეგ მურმა. რბოლა, მართლაც საუცხოო იყო. მურის „რეინარდ-მერსედესი“ ყველაზე სწრაფი გახლდათ და მეტოქეებსაც უშელავათო ორთაბრძოლებში აჯობა.

შაბათს კვალიფიკაცია ტრეისიმ მოიგო და ძირითადი რბოლის დაწყებამდე ერთი ქულაც მიითვალა. წინა ეტაპის გმირები — კარპენტიე და ფრანკიტიც კარგად გამოვიდნენ და რვა საუკეთესოს შორის მოხვდნენ. ტრეისის ძირითადი მეტოქეები ანსერი, ანდრეტი, ვასერი და ზანარდი სასტარტო განლაგების შუაგულში მოექცნენ. წინა ეტაპის მსგავსად, აქაც „მერსედესის“ ძრავიანი ბოლიდების უპირატესობა აშკარა იყო — სტარტის პირველი ექვსეულიდან 5-ს გერმანული ძრავა ჰქონდა.

სტარტის შემდეგ პირველი ტრეისი დაიძრა. პილოტებმა ორიოდე წრის გავლა ძლივს მოასწრეს, რომ მექსიკელმა ჟურდენმა მოსახვევში „ლოლა“ ვერ დაიმორჩილა და ბარიერს შეეჯახა. მარშლები ტრასის წმენდას შეუდგნენ, რესტარტზე, მე-14 წრეზე კი მურმა ბოუსელი, გუჟელმინი და მათი გამსწრები კარპენტიე ჩამოიტოვა და ტრეისის წამოეწია. ამას ჯონსტონის ავარია და კვლავ ყვითელი ალამი მოჰყვა. საწვავის შევსების და რესტარტის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა არ შეცვლილა — ტრეისი 2,2 წამს უგებდა მურს და ამ უკანასკნელის მცდელობა, თანამემამულესთვის შეეტია, გადატვირთული ტრასის გამო მცდელობადვე დარჩა. მომდევნო წრე მარცხიანი გამოდგა „პენსკესთვის“, რომელიც მე-100 გამარჯვებას ელოდა — მურმა ტრეისის გაასწრო, ანდრეტიმ კი თავისი ძველი მეტოქე ანსერი ჩამოიტოვა.

რამდენიმე წრის შემდეგ მოსახვევში ფანხიო მოცურდა, მის უკან მომავალმა შალეშმა მისთვის გვერდის ავლა ვერ მოახერხა და ორივე ბარიერს შეასკდა. ისევ ყვითელი ალმები და ლიდერები კვლავ ბოქსებს ეწვევნენ. ის-ის იყო, მური ბოქსებიდან დაიძრა, რომ მის ცხვირწინ რაჰალი გაჩნდა. კანადელმა დაამუხრუჭა, შეფერხდა და ტრასას მე-3 ადგილზე ტრეისისა და გუჟელმინის უკან დაუბრუნდა.

რესტარტის შემდეგ ტრეისი დაწინაურდა, მე-4-ზე მყოფ ვასერს კი ერთდროულად ანდრეტიმ და კარპენტიემ შეუტიეს და გაასწრეს კიდეც შარშანდელ ჩემპიონს.

უავარიოდ ვერც პაპისი გადარჩა 133-ე წრეზე. ბოქსებიდან გამოსული ტრეისი ტრასას მე-8 პოზიციაზე დაუბრუნდა და ლიდერობა მურს დარჩა, რომელმაც რესტარტის შემდეგ კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა. გუჟელმინის ჩამოტოვებულმა ტრეისიმ ანდრეტის შეუტია, მაგრამ ეს უკანასკნელი დათმობას არ აპირებდა, გადამწყვეტ შეტევაზე გადასულმა იძალა და მე-3-ზე ვასერის უკან აღმოჩნდა. რბოლის დასასრულამდე 20 წრით ადრე კი ეს უკანასკნელიც მაიკლის მდევარი გახდა. მურს აღვენებული ანდრეტი კი თანდათან ამცირებდა ლიდერთან სხვაობას. ანდრეტის ამ ტრეკზე ყველაზე მეტი — 5 გამარჯვება აქვს მოპოვებული და ამჯერადაც შესანიშნავად ჩაატარა რბოლა, არც მამის დახმარება და რჩევა-დარიგებები მოჰკლებია. მთავარი მოვლენები რბოლის დასასრულამდე 5 წრით ადრე დატრიალდა — მური ჩამორჩენილ ზანარდის წამოეწია და შეფერხდა, ანდრეტის შავი ფერის „სვიფტიც“ მის უკან აღმოჩნდა და სხვაობა 0,2 წამამდე შემცირდა. ამერიკელმა გასწრება სცადა, მაგრამ ოდნავ დაწინაურებულმა კანადელმა დაასწრო და ინდიკარის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გახდა.

ტრეისიმ მე-6 პოზიციაზე დაასრულა ასპარეზობა და ჩემპიონატის ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა.

**ალეკო ჭაბუკიანი**

რბოლის შედეგები

„მილერ-200“ დიდი პრიზი
1 ივნისი. ვესტ-ალისი (ვისკონსინი)
დისტანცია 200 წრე — 200 მილი

| | |
|---|---|
| 1. მური (რეინარდ-მერსედესი | 20 ქულა |
| 2. ანდრეტი (სვიფტ-ფორდი) | 16 |
| 3. ვასერი (რეინარდ-ჰონდა) | 14 |
| 4. ბოუსელი (რეინარდ-ფორდი) | 12 |
| 5. გუჟელმინი (რეინარდ-მერსედესი) | 10 |
| 6. ტრეისი (პენსკე-მერსედესი) | 8 |
| 7. დე ფერანი (რეინარდ-ჰონდა) | 6 |
| 8. კარპენტიე (რეინარდ-მერსედესი) | 5 |
| 9. პრუეტი (რეინარდ-ფორდი) | 4 |
| 10. მორენო (სვიფტ-ფორდი) | 3 |
| 11. რაჰალი (რეინარდ-ფორდი) | 2 |
| 12. ბლანდელი (რეინარდ-მერსედესი) | 1 |

ტრეისიმ 1 ქულა მიიღო პოულისათვის
მურმა 1 ქულა — ლიდერობისათვის

პირადი პირველობა

1. ტრეისი 94 ქულა, 2. ანდრეტი 70, 3. ზანარდი 67, 4-5. მური და პრუეტი 65-65, 6. ვასერი 57, 7. გუჟელმინი 47, 8. დე ფერანი 45, 9. ბოუსელი 39, 10. ანსერი 32.

# მოტოციკლი

## ჰეილვუდს გადაუსწრო

ორ კლასში — 500-სა და 250-ში „ჰონდა" ისე მძლავრობს, რომ აქამდე გამართული ხუთივე ეტაპი მოიგო. იგივე ითქმის ავსტრალიელ მაიქლ დუენზე, ვინაც წელს უკვე ოთხი ეტაპი მოიგო, კარიერაში 38 დიდი პრიზი დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით გადაუსწრო აწ განსვენებულ ბრიტანელ მაიქ ჰეილვუდს, თუმცა კი ჯერაც ბევრით ჩამორჩება დიდ იტალიელ ჯაკომო აგოსტინის, ვისი მონაგარიც 68 დიდი პრიზია.

წინა უქმეებზე ცელტვეგში მსოფლიო პირველობის V ეტაპი, ავსტრიის დიდი პრიზი გათამაშდა. თუ 125-სა და 250-ში გამარჯვებული ფინიშზელა გამოვლინდა, დუენმა ერთობ დიდი სხვაობით გაიმარჯვა და თუ წელს ზედიზედ მეოთხედ გახდება ჩემპიონი, ზემოთხსენებული აგოსტინისა და ჰეილვუდის მიღწევას გაიმეორებს.

125 კუბ. სმ (24 წრე; 103,656 კმ): 1. ნობორუ უედა (იაპონია, ჰონდა) საშუალო სიჩქარე 154,216 კმ-სთ; 2. ვალენტინო როსი (იტალია, აპრილია) ჩამორჩა 0,004 წამით; 3. ტომომი მანაკაო (იაპონია, ჰ); 4. გარი მაკქოი (ავსტრალია, აპრ). ჯამი: უედა 99 ქულა; როსი 95; კაზუტო საკატა (იაპონია, აპრ) 69
250 კუბ. სმ (26 წრე; 112,294 კმ): 1. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, ჰ) 166,411 კმ-სთ; 2. რალფ ვალდმანი (გერმანია, ჰ) 0,622; 3. მაქს ბიაჯი (იტალია, ჰ); 4. ლორის კაპიროსი (იტალია, აპრ). ჯამი: ბიაჯი 91 ქულა; ვალდმანი 82; ჟაკი 61; ტეცუია ჰარადა (იაპონია, აპრ) 56

უმცროს კლასში ყმაწვილმა როსიმ ბოლო მოსახვევში ოსტატური მანევრით გაუსწრო უედას და თითქო მეოთხე დიდ პრიზსაც მოიპოვებდა, მაგრამ იაპონელმა ზედ ფინიშის სწორზე ისე გააქროლა „ჰონდას" მძლავრი მანქანა, რომ იოტისოდენით მაინც გაიმარჯვა. საშუალო კლასშიც გამარჯვებული ბოლო წრეზე გამოვლინდა: ჟაკმა ვალდმანს გადაუსწრო.

500 კუბ. სმ (28 წრე; 120,932 კმ): 1. მაიქლ დუენი (ავსტრალია, ჰ) 173,540 კმ-სთ; 2. ტადაიუკი ოკადა (იაპონია, ჰ) 22,077; 3. ლუკა კადალორა (იტალია, იამაჰა); 4. ნობუაცუ აოკი (იაპონია, ჰ); 5. ალექს კრივიე (ესპანეთი, ჰ); 6. კარლოს ჩეკა (ესპანეთი, ჰ)
სასტარტო განლაგება: დუენი, ოკადა (0,310), კრივიე (0,507), ჩეკა; კადალორა, ნ. აოკი,... უსწრაფესი წრე: დუენი, ბოლო; 175,359 კმ-სთ (რეკორდი!) ჯამი: დუენი 120; კრივიე 89; ნ. აოკი 67; კადალორა 59; ოკადა 58

დუენმა კარიერის მე-40 პოული მაშინ მოიპოვა, კვალიფიკაციის ბოლომდე 5 წუთი რომ რჩებოდა. მერე ოკადა ეცადა მოწინავე პოზიციის დაბრუნებას, მაგრამ დაეცა და თეძო დაიშავა. მან წინა ეტაპზე — იტალიის დიდ პრიზზე მაჯაც მწარედ იტკინა.

შარშან წვიმდა. ტრასა მტვრისგან ატალახდა. ქოლგისქვეშ შეფარებულ დუენს კინაღამ მეხი დაეცა.

წელს დუენმა უნაკლოდ იბრძოლა. კრივიე მას თავიდან კვალში ედგა, მაგრამ ბოლო წრეზე შეცდა და V ადგილზეღა გავიდა. ბედად, მაიქლს ალექსის ლაფსუსი ვერ შეუნიშნავს, თორემ, როგორც თავად აღიარა, ტრასის რეკორდს ვერ გააუმჯობესებდა.

# ველორბოლა



## კაცი აღარც ახსოვდათ

მე-80 ჯიროზე — იტალიის ველო-ტურზე საგულისხმო ამბები მოხდა: შეიცვალა ლიდერი. თუ III ეტაპიდან მოკიდებული ზედიზედ 11 დღის მანძილზე ლიდერის ვარდისფერი კვართი შარშანდელ ჩემპიონს, რუს პაველ ტონკოვს (მაპეი) ეცვა, მერე მას მასპინძელი ივან გოტი (საეკო) დაეპატრონა და გუშინდელ სიჩაუქის გამოცდამდე ღირსეულად ატარა. ამით იტალიელებს ხელახლა გაუღვივდათ თავიანთი კერპის — მარკო პანტანის გავარდნის გამო ჯიროსადმი ერთი პირობა მინავლებული ინტერესი.

ლიდერი შაბათს შეიცვალა. მანამდე, პარასკევს, 30 მაისს, XIII ეტაპი (ვარაცე — კუნეო; 150 კმ) მოიგო წლევანდელი ტურის მონაწილე ერთადერთმა შვედმა, 27 წლის გლენ მაგნუსონმა (ამორე-ე-ვიტა). გეტებორგელმა მრბოლმა, ვისაც შარშანდელ ჯიროზეც, ოლონდაც საბერძნეთში (!) მოუგია ეტაპი, სპრინტით აჯობა ორ იტალიელს — მირკო როსატოს (ზკრინიო) და მარიო ჩიპოლინის (საეკო). ამან თავისი მარცხი უკრაინელი სერგეი უჩაკოვის დაცემას დააბრალა, აქაო და გზა შემიკრა, მაგნუსონმა კი მომენტი იხელთა და გამისწროო. ლიდერთა ურთიერთგანლაგება არ შეცვლილა — ტონკოვი ისევ 41 წამს უგებდა ფრანგ ლიუკ ლებლონს (პოლტი). რუსს ალღომ არ უმტყუნა და თქვა, ხვალ დიდი ომი მომელისო. აუხდა კიდეც.

გოტიმ XIV ეტაპზე (31. 05; რაკონიჯი — ჩერვინია; 240 კმ) ივაჟკაცა: ფინიშამდე 34 კილომეტრი რომ რჩებოდა, გადამწყვეტი იერიში წამოიწყო და საბოლოოდ წუთი და 46 წამი მოუგო მეხუთე ადგილზე გასულ ტონკოვს. ლებლონმა ფინიშს მეთერთმეტემ უწია და გამარჯვებულთან 3.16 წააგო.

ეტაპი სამი ციცაბო ალმართით დასრულდა. ზღვის დონიდან 2100 მეტრზე ივანმა ბოლოსდაბოლოს დაჯაბნა ეული მდევარი — თანამემამულე ნიკოლა მიჩელი (აქი), ვინაც გამარჯვებულს 39 წამით ჩამორჩა. გოტიმ ბოლო სამი კილომეტრი მარტომ იარა. მას გზის პირად გამოფენილი ათი ათასობით მოყიუინე იტალიელი ქომაგი ამხნევებდა.

ტონკოვს შავი დღე ადგა. მასა და გოტის კიდევ სხვა ოთხ მდევარს მოსეირეები ნერვებს უშლიდნენ — გზაზე სახელდახელოდ წაეწერათ ვარდისფერი სალებავით, „გოტი — ვარდისფერ კვართშიო".

რუსმა ვერ ივარგა. გაოცებულმა გამარჯვებულმა შენიშნა, წინ რომ გავიჭერი, გამიკვირდა, ტონკოვი და მისი დამქაშები რომ არ ამეკიდნენო. ისე კი, იტალიელს თურმე არ მოწონებია ჯგროს მიერ არჩეული ცვალებადი ტემპი და წინ ამიტომ, ამათ ჯიბრზე გაჭრილა.

იტალიელმა ივან გოტიმ ბოლო კილომეტრები მარტომ გალია და ვარდისფერი კვართი ჩაიცვა

როიტერი ჩერვინიიდან

გოტი პროფესიულ სცენაზე ახალბედა როდია — მეშვიდე წელია, რაც ასპარეზობს, მაგრამ იმ დღეს ჯიროზე მხოლოდ მეორე ეტაპი მოიგო. როგორც თავად ამბობს, წლევანდლამდე თავისი შესაძლებლობების არცა ჯეროდა და იტალიელი ბუნიოსა და რუსი ბერზინის ხელის ბიჭი იყო. რაკი ორგანიზატორები მას არად აგდებდნენ, წლევანდელი ჯიროს პრეზენტაციაზე არც მიუწვევიათ. არადა, ივანს ჯამური V ადგილები ჰქონია შარშანწინდელ საფრანგეთის ტურში და შარშანდელ ჯიროში.

გამარჯვების შემდეგ გოტი ტონკოვს 51 წამს უგებდა, ლებლონს — 3.02-ს. შემდეგივე — XV ეტაპი (1. 06; ვერესი — ბორგომანერო; 173 კმ) ჯოჯოხეთური გამოვიდა. თუ ერთი კვირის წინ ჯიროს მონაწილეებს 30-გრადუსიანი სიცხე აცლიდა სიქას, ამჯერად გადაუღებლად წვიმდა და ცივი ნიავიც ქროდა. ახალ ლიდერს წინამორბედის იერიშისა ეშინოდა, რაკი ამან კარგად უწყოდა იტალიელის სისუსტე — სიცივეს რომ ვერ იტანს, მაგრამ რუსმა არ გარისკა და გენერალური შეტევა ალბათ ოთხშაბათის სიჩაუქის გამოცდისთვის გადადო.

ფინიშამდე 123 კილომეტრი რომ რჩებოდა, ლიანგს 13 კაცი გამოეყო. ამათ ერთი პირობა 6-წუთიანი სხვაობაც კი გააჩერხეს, მაგრამ მერე თანდათან დაიქანცნენ. ფინიშზე 30 წლის იტალიელმა ალესანდრო ბარონტიმ (ასიკსი) სპურტით აჯობა ორ თანამემამულეს — ფილიპო კაზაგრანდეს (ზკრინიო) და პაოლო ზავოლდელის (როსლოტო). გოტი, ტონკოვი და ლებლონი ბორგომანეროში ერთად შეგრიალდნენ და ლტოლვილებთან 50 წამი წააგეს, მაგრამ ამითი არა დაშავებიათ რა.

შემდეგი ორი ეტაპიც იტალიელებმა მოიგეს. ამის შემდეგ მათ წლევანდელ აქტივში 12 გამარჯვება დაგროვდა.

XVI ეტაპი (2. 06; ბორგომანერო — დალმინე; 158 კმ) გოტის მშობლიურ დაბას დაუახლოვდა. ლიდერს ცოლი ფრანჩესკაც კი გზად გაეგება, მაგრამ ივანი მაინც დაჩრდილა 32 წლის ფაბიო ფონტანელიმ (იტალია, მალიფიჩო), ვისაც თურმე გუნდის მენეჯერმა დაუცაცხანა, კვირას რად არ იაქტიურეო, და რაკი ეტაპი მოკლე იყო, საგზალიც მსუბუქი გაატანა.

სხვები რომ საკვებ პუნქტში მიირთმევდნენ, ფონტანელი იმ დროს წინ გაიჭრა. მას მხარი სხვა ხუთმაც აუბა. ლტოლვილებს ჯგრო ხან ეწეოდა, ხანაც ჩამორჩებოდა. ფონტანელიმ მოწინავედ მაინც გაძლო. კვარცხლბეკზე მას მხარი დაუმშვენეს ფაბიო როშოლიმ (იტალია, ასიკსი) და ანჯელო ლეკიმ (ესეც იტალია და მალიფიჩო), ლიდერთა მდგომარეობა კი კვალვ უცვლელი დარჩა.

XVII ეტაპზე (3. 06; დალმინე — ვერონა; 200 კმ) ლიდერებს არ უღელვიათ: მართალია, წინ 14 მრბოლი გაიჭრა, მაგრამ მათში ტურში გამარჯვების პრეტენდენტი არავინ ერია. „მაპეიმ" ისევ სიჩაუქის გამოცდისა და ფინიშისწინა სამი სამთო ეტაპისთვის გადადო იერიში. ამის გამო გოტიმ შენიშნა, ჯიროს პირველ ნახევარში ამათ ალბათ იმდენი იმუშავეს, რომ ბოლო კვირაში აღარაფრის თავი აქვთო.

ფინიში აქაც ალმართზე მოეწყოთ. მოწინავე ჯგუფი დაიფანტა. აღთქმულ მიწამდე 100 მეტრი რომ დარჩა, 1990 წლის მოყვარულმა მსოფლიო ჩემპიონმა, 28 წლის მირკო გვალდიმ (იტალია) წლევანდელ ჯიროში პირველად გაამარჯვებინა თავის გუნდ „პოლტის".

გუშინ XVIII, 40-კილომეტრა სიჩაუქო ეტაპი იყო. რაკი ტონკოვი ერთობ მარდია, გოტი წაგებას წინდაწინ შეგუებოდა, მაგრამ იმისი იმედი მაინც ქონდა, რომ ვარდისფერ კვართს შეინარჩუნებდა.

მიხო ნინუა

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!.

დღეს, ხუთშაბათს, 5 ივნისს

EUROSPORT

11.30 ავტოჟურნალი „სიჩქარეთა სამყარო"; 14.00 ცურვა: „ჩვენი ზღვა". საფრანგეთიდან; 15.00 ნიჩბოსნობა: მსოფლიო თასი. მიუნხენიდან; 15.30 მოტოციკლის ჟურნალი „თვლები"; 16.30 ველოკროსი: მსოფლიო თასი. იტალიიდან; 17.00 (პ) ჩოგბურთი: საფრანგეთის ღია პირველობა. ქალთა ნახევარფინალი. პარიზიდან; 20.00 ავტოჟურნალი „ძრავები"; 21.00 (პ) ფეხბურთი: ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. საფრანგეთიდან; 24.30 (პ) მძლეოსნობა: იააფ-ის გრან-პრი. რომიდან; 2.00 ჩოგბურთი: საფრანგეთის ლია (რ); 3.00 აფროსნობის ჟურნალი; 3.30 გოლფი. ბალეარის კუნძულებიდან (4.30-მდე)

ხვალ, პარასკევს, 6 ივნისს

11.30 აფროსნობის ჟურნალი; 12.00 „თვლები"; 12.30 „ძრავები"; 13.30 ფეხბურთი: ფინალი (-); 16.00 (პ) ჩოგბურთი: საფრანგეთის ლია. ვაჟების ნახევარფინალი; 21.00 მძლეოსნობა: რომი; 22.00 მოტოციკლი: საფრანგეთის დიდი პრიზი. ვარჯიში. ლე კასტელედან; 22.30 პორტუგალიის რალი; 23.00 კრივი: ჩავესი — ესპინოსა; 24.00 რალის ჟურნალი „უგზოობა"; 1.00 მოტოციკლი: ლე კასტელე (რ); 2.00 ჩოგბურთი: საფრანგეთის ლია (რ)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

CNN INTERNATIONAL

ყოველდღე

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)

# რაგბი

## საქართველოს პირველობა

## ქუთაისში მსაჯებს ისევ ცემენ

აღმოსავლეთმცოდნემა და ბავშვთა მწვრთნელმა გია ჭუმბურიძემ ორშაბათს ოდენ მეორედ იმსაჯა ქუთაისში, მაგრამ იქაურ რაგბის ვაი-ქომაგთა „ალერსი" უკვე გამოცადა. შარშანდელისა არ იყოს, „აია" შინ ისევ დამარცხდა „ყოჩებთან", თბილისელთა გამარჯვება კი ისევ მსაჯს დაბრალდა.

IV ტური. 2 ივნისი

ვაკე. გუმარი 34 (27) (6ლ, 2გ) — ასკ 12 (0) (2ლ, გ)
რუსთავი. აზოტი 14 (ლ: ძონენიძე; 3ს: ე. ძაგნიძე) — ქორები 0
ქუთაისი. აია-ჰეი 15 (15) (2ლ: ზ. შვანგირაძე, გ. ლილუაშვილი; გ, ს: შვანგირაძე) — ყოჩები 18 (6) (5ს, ა: ტეფნაძე)

| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 3 | 3 | 0 | 0 | 122: 34 | 16- 4 | 6 |
| აზოტი (რუსთ) | 4 | 3 | 0 | 1 | 85: 35 | 12- 2 | 6 |
| ქორები | 4 | 3 | 0 | 1 | 74: 37 | 10- 2 | 6 |
| აია (ქუთ) | 3 | 1 | 0 | 2 | 50: 35 | 5- 1 | 2 |
| გუმარი | 3 | 1 | 0 | 2 | 51: 64 | 7- 8 | 2 |
| ასკ | 4 | 1 | 0 | 3 | 59:150 | 7-25 | 2 |
| გელათი (ქუთ) | 3 | 0 | 0 | 3 | 18:104 | 2-17 | 0 |

„ბ" ჯგუფი. 30. 05: თბილისი არ გამოუცხადდა შევარდენს; დინამო 10 (10) (ლ, გ, ს) — ქორები II 0
შევარდენი 6 ქულა (3 თამაშიდან); უნივერსიტეტ-ლელო და დინამო 4 (3); თბილისი 1 (4); ქორები II -1 (3)

## ტელმანას გზით

ეროვნული გუნდისა და „ქორების" შუამარბი კახა ალანია გასასინჯად გაემგზავრა იტალიას, სადაც ქალაქ როვიგოს კლუბში ყოჩაღად თამაშობს მისი ექს-თანაკლუბელი აჩიკო ჭავთარაშვილი, მეტსახელად ტელმანა (იგივე სტეჩკინა). ქართველი გარემარბის წყალობით „როვიგოს" ამ უქმეებზე თურმე იტალიის პირველობაზე III ადგილის მფლობელის გამოსავლენი მატჩი მოელის.

# ჩოგბურთი

## როლან გაროსი

## ამანდას მაინც ვერ გადაურჩა

საფრანგეთის ღია პირველობის ქალთა და ვაჟთა ტურნირებში რადიალურად საპირისპირო ამბები ხდება: მეოთხედფინალში გასულ ქალთაგან თუ შვიდი იყო განთესილი, ვაჟთაგან მხოლოდ ორმა ბობოლამ უწია ამ სტადიას, რაც „ღია ჩოგბურთის" ხანის ანტი-რეკორდი ყოფილა.

დღეს ქალთა ნახევარფინალებია: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 1) ეთამაშება მონიკა სელეშს (აშშ, 3), ივა მაიოლი (ხორვატია, 9) კი — ამანდა კუტცერს (სამხრეთი აფრიკა, 11). ვაჟთა ერთ ნახევარფინალში ორი განუთესელი — ფილიპ დევულფი (ბელგია, 124-ე ჩოგანი) და გუსტავო კერტენი (ბრაზილია, 66-ე) ითამაშებს.

სამშაბათს ქალთა ოთხივე მეოთხედფინალი გაიმართა: ჰინგისი — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 6) 6:2, 6:2; სელეში — მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 12) 3:6, 6:2, 7:5; მაიოლი — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 5:7, 6:2; კუტცერი — შტეფი გრაფი (გერმანია, 2) 6:1, 6:4

ორ წყვილში დობილები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს: ჰინგის — სანჩესი და მაიოლი — დრაგომირი წყვილთა შეჯიბრში პარტნიორები არიან ხოლმე.

საფრანგეთის სამგზის ჩემპიონმა მონიკამ გამარჯვება ილბლიანობით ახსნა. ჰინგისმა ორგზის ჩემპიონ სანჩესს 64 წუთში მოუღო ბოლო, ხორვატსა და რუმინელს კი თამაში გაუგრძელდათ — მატჩმა 2 საათსა და 23 წუთს გასტანა. დრაგომირს საზარდული გაექიმა. მაიოლიმ რომ გაიმარჯვა, არაქათგაცლილი კორტზე განერთხა. მას მიეახლა მეტოქე და ისიც გვერდით მიუწვა. მერე დაქალები ერთურთს ჩაეკონნენ და გასახდელისკენ ბანცალ-ბანცალით გასწიეს. ამგვარი საქციელი ბოლო ხანს ქალებს ლამისაა მოდად ექცეთ.



კუტცერი



არაზი

ხუთგზის ჩემპიონი გრაფი ვერც ამჯერად გადაურჩა ჩია კუტცერს — წელს მასთან მესამედ (!) წააგო. შტეფი პარიზში მე-11-ედ თამაშობდა; ნახევარფინალში აქამდე ყოველთვის გასულა; დიდი სლემის 21 ტიტულიდან პირველიც იქ მოიგო (1987).

ამჯერად შტეფის საკუთარ ძალთა რწმენა ერთობ კლებია. ეს თავადაც აღიარა. მეორე ხელის კრიტიკულ მომენტში წვიმამ თამაში 45 წუთით რომ შეაფერხა, გერმანელს ვერც ამით უშველა. მეტიც, ბოლო გეიმში წალმა დარტყმული 7 ბურთი გაუცუდდა, სულ კი 92-წუთიან მატჩში 64 უნებური შეცდომა მოუვიდა. თუ იმასაც შევნიშნავთ, რომ კუტცერმა მთელს თამაშში 78 ქულა მოიგო, მის გამარჯვებაში გრაფის წვლილი მართლაც შეუწონავი გამოვა.

ვაჟთა შეჯიბრის ნაღდი მშვენება 20 წლის ბრაზილიელი გუსტავო კერტენია, ვისაც დღემდე ტურზე ერთი ტიტულიც კი ვერ მოუგია.



გრაფი



რიოსი

ამ ბიჭს ჰუეტელა — ყვითელ-ლურჯი სამოსი აცვია, რაც მავან მასპინძელ დიდ-მოხელეს თურმე არ მოეწონა, ესაო და ჩოგბურთისთვის შეუფერებელიაო. ამაზე გუსტავომ მიუგო, სხვა ფორმა არა მაქვს; პირადი სპონსორიც ამგვარი, ეროვნული ფერის სამოსით ასპარეზობას მავალდებულებს, მაგრამ თქვენი კრიტიკის პასუხად იმას კი ვიზამ, რომ ხვალიდან თეთრ ხილაბანდს გავიკეთებო.

კერტენმა ზედიზედ სამი ხუთ-ხელა თამაში მოიგო: ძლია 1995 წლის ჩემპიონი თომას მუსტერი (ავსტრია, 5), 1993 წლის ნახევარფინალისტი ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 5:7, 6:1, 6:2, 1:6, 7:5 და შარშანდელი ჩემპიონი ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 3) 6:2, 5:7, 2:6, 6:0, 6:4. გაუცინარ და შემელოტებულ მედვედევთან თამაში კვირას შებინდების გამო მაშინ გადაიდო, ბოლო ხელში ანგარიში 2:2 რომ იყო, და ორშაბათსღა დასრულდა. გუსტავო შეიქნა პირველი ბრაზილიელი, ვინაც დიდი სლემის ტურნირების ნახევარფინალს უწია. არადა, წელს კერტენი თიხაზე ერთობ სუსტად ასპარეზობდა: ევროპაში ხუთ ტურნირში ჩაება და მხოლოდ ორი მატჩი მოიგო!

ორშაბათს მოისრა ორი ბობოლაც: 26 წლის ბარსელონელი სერხი ბრუგერა როლან გაროსის ორგზის (1993-4) ჩემპიონი კია, მაგრამ სამი წელია, ტურნირი ველარსად მოუგია. დიდი ველომრბოლი მიგელ ინდურაინის ძმაკაცმა ამჯერად ძველი, ტრავმამდელი დრო გაიხსენა და 3:6, 6:4, 6:3, 6:4 გააბუნძულა მაიქლ ჩანგი (აშშ, 2), ვისაც 65 უნებური შეცდომა მოუვიდა.

23 წლის ჰიშამ არაზიმ (მაროკო, 55-ე ჩოგანი) ორ საათსა და 20 წუთში 6:2, 6:1, 5:7, 7:6 (7-4) ძლია ჰირვეული მარსელო რიოსი (ჩილე, 7). მედიამ მყის ქვეყანას მოფინა პოეზიით არაზის გატაცება. ეს ბიჭი ფრანგი ჟაკ პრევერის „წალკოტს" თურმე ფრანგულადვე კითხულობს და ამტკიცებს, სასტიკ ჩოგბურთში სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად დიდად მეხმარებაო.

როიტერის პარიზული ფოტოები

## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით


მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29